# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 18 დეკემბერი 2002 №241 (1763) | ფასი 50 თეთრი


# რო ხალხი ნალ კრესა დო! მწვრთნელები

## გუშინ რონალდო მესამედ გახდა მსოფლიოში საუკეთესო



REUTERS




მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ოლივერ კანისთვის გატანილმა ორმა გოლმა გუშინდელ მადრიდულ ცერემონიალზე რონალდოს მესამედ ალამართვინა ფიფას პრიზი

### საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ალექსანდრე ჩივაძის



სამეული

1 რონალდო

2 რობერტო კარლოსი

3 მიხაელ ბალაკი

## FIFA WORLD PLAYER 2002

რონალდო 387

ოლივერ კანი 171

ზინედინ ზიდანი 148

# კუპრივით შავი საქმე

## საქართველო – რუსეთის მატჩზე გენერატორი დაიხრჩო

## კომისიის დასკვნა: დასკვნამდე შორია

**12 ოქტომბერს** დაიწყო და ალბათ კიდევ დიდხანს გაგრძელდება საქართველო — რუსეთის მატჩისას დაკარგული დენის ძიება. ავადმოსაგონარ ფაქტს გამოძიება სჭირდება. ამ საქმეში ჩართულია „ეიეს თელასი", უშიშროებისა და იუსტიციის სამინისტროები, ცხადია, „ლოკომოტივის" სტადიონის დირექციაც.

გეხსომებათ, რომ ჩაბნელების უამრავი ვერსია დამუშავდა. ვგონებ, მხოლოდ უსამა ბინ ლადენი და ალ-ქაიდა გამოირიცხა.

ცალკე თემაა თურქული მხარე, სწორედ მათ დაამონტაჟეს „სიმენსის" ფირმის დიზელ-გენერატორი, რომელიც აურზაურის მთავარი მიზეზი გახდა. თურქებმა პირველი შეხმიანებისთანავე ხელები დაიბანეს, ჩვენი მოცემული გარანტიის ვადა გასულია, თქვენი მისახედიაო. გენერატორი მატჩამდეც არაერთხელ შეამოწმეს, მაგრამ გაუმართაობისა არაფერი ემჩნეოდა. მაშ, რა დაემართა ტექნიკას 12 ოქტომბრის საღამოს?

ქართულ სინამდვილეში, როგორც წესი, შეიქმნა სათანადო კომისია, რომელშიც ზემოთ ჩამოთვლილი უწყებების წარმომადგენლები შევიდნენ. კომისიამ თურქულ მხარეს მოწვევა გაუგზავნა, რათა თავისი სიტყვა მათაც ეთქვათ, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, ჩვენს მეზობლებს წერილობითი უარი შემოუთვლიათ, უჩვენოდ გაარკვიეთო.

გუშინ კომისიის პირველი სხდომა შედგა „ლოკომოტივის" სტადიონზე და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ მახმედიელებს კარი ცხვირწინ მოგვიხურეს. ის კი გავიგეთ, რომ დამსწრენი საქართველო — რუსეთის მატჩის ვიდეოფირს წალმაუკუღმა აბრუნებდნენ, იმის გასარკვევად, როდის და როგორ გამოირთო თელასის დენი, მერე კი რამდენ ხანს იმუშავა გენერატორმა გამორთვამდე. გარჩევა-შესწავლა გვარიანად გაიწელა.

დაახლოებით ხუთის ნახევარზე ელექტრიკოსთა მუშა-ჯგუფი ექსპერიმენტის ჩასატარებლად გაემგზავრა. მალე „ლოკომოტივის" სტადიონი ოთხივ კუთხით პროჟექტორებმა გაანათეს. საგენერატოროდან გამოსულებმა რაღაც-რაღაცეები პროფესიულად გაარჩიეს და სწორედ მათგან შევიტყვეთ, რა ხდებოდა სხდომაზე.

მოგვიანებით კრება დაიშალა, მაგრამ დასკვნები ჯერ არ გაკეთებულა. გაირკვა, რომ სტადიონის ელსადენების სქემა დასახვეწი, რის შედეგადაც მიზეზების დადგენა გაიოლდება.

კომისიის თავმჯდომარე, იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სპეცგამოკვლევების ცენტრის მთავარი ექსპერტი, ლილი კოტრიკაძე: „ეს პირველი სხდომა გახლდათ. თურქი სპეციალისტების ჩამოსვლას ველოდით, მაგრამ წერილობით შემოგვითვალეს უარი. ჩვენ უფლებამოსილნი ვართ — მათ გარეშეც ჩაგვეტარებინა კვლევა-ძიება და შევიკრიბეთ კიდეც. ჯერ არაფერი დაკონკრეტებულა. ექსპერტთა ჯგუფი მუშაობს და ექსპერიმენტებს ატარებს. ახალი ვერსიები არ გვაქვს, გარდა იმისა, რაც უკვე ცნობილია. საქმეს დაწვრილებითი გამოკვლევა სჭირდება, რადგან ის გაცილებით უფრო ჩახლართულია, ვიდრე ადრე ჩანდა. ამიტომაც დასკვნების გაკეთება ნაადრევია. კიდევ დავსხდებით, გავარჩევთ, რათა სიმართლეს მივაგნოთ".

ნოდარ ულრელიძე, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (რკინიგზის დეპარტამენტის წარმომადგენელი): „გენერატორი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაირთვებოდა, თუ თელასის დენის უეცარ, რადიკალურ ცვალებადობას აღიქვამდა. ეიესის მხარე აცხადებს, რომ ძაბვა სტაბილური იყო. ფაქტია, რომ გენერატორი ჩაირთო, მაგრამ მალევე მიყუჩდა. ვფიქრობთ, ვენტილაციის სისტემის მოუწესრიგებლობის გამო გენერატორი, უხეშად რომ ვთქვათ, სიცხისგან „დაიხრჩო" და ეს უკვე დამმონტაჟებლების ბრალი უნდა იყოს. უცნაურია კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ვიდეოფირის ნახვისას გამოჩნდა. იმ მომენტში, როცა გენერატორიდან მიეწოდებოდა დენი, განათების სისტემა მთელი სტადიონის მასშტაბით ალაგ-ალაგ აირია. როგორც ჩანს, გენერატორი სულს ღაფავდა. ეს ფაქტიც შესასწავლია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ელსადენების განაწილების სქემა, ნახაზი მთლად მოწესრიგებული არ არის. მხოლოდ მისი დახვეწის შედეგად შეიძლება საქმეს ნათელი მოეფინოს. კომისია კიდევ შეიკრიბება და კვლევას განაგრძობს".

**ვაჟა ხუციშვილი**



მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები: ბრაზილიელი რონალდო და ამერიკელი მია ჰემი



მანჩესტერი — ჩელსი. დევიდ ბექემი (მარჯვნივ) და მარიო სტანიჩი

# სტურუა — სამარა, მარა...

*საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე მეკარეებიდან ვინმეს გამორჩევა თუ შეიძლება, ერთ-ერთი* **ზვიად სტურუაა**. *ქუთაისის „ტორპედოს" 24 წლის კარის დარაჯი ალექსანდრ შტელინის გუნდისთვის უდავოდ საჭირო ფეხბურთელია და მისი დაკარგვა რაიონისპირელებს კარგ ნაღდად არაფერს მოუტანდა.*

*საქმე ისაა, რომ ითქვა, ახალგაზრდა ქართველ მეკარეს რუსულმა „კრილია სოვეტოვმა" დაადგა თვალი და საქმეც თითქმის გაჩარხულიაო. აქვე იმასაც შევახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან ქუთაისის „ტორპედოს" გამგდებმა ჩეხურმა პრალის „სპარტამ" ერთ-ორ ქუთათურ ფეხბურთელთან ერთად ზვიად სტურუაც შეიგულა სათავისოდ, თუმც ეს საქმე მერე ადგილიდან არ დაძრულა.*

*გუშინ სტურუას შევეხმიანეთ და მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ.*

— ამბობენ, შენით „კრილია სოვეტოვი" დაინტერესდა და ამ ტრანსფერს წინ ბევრიც არაფერი უდგასო...

— სიმართლე გითხრათ, ზუსტად არაფერი ვიცი. ასეთი რამ მეც გავიგე, მაგრამ არა მგონია, ქუთაისიდან სადმე წავიდე.

— „კრილიას" ვარიანტი რეალურია?

— ზუსტად ვერ გეტყვით. ვიცი, რომ რამდენიმე გუნდი კიდევ არის ჩემით დაინტერესებული, მაგრამ, როგორც გითხარით, არსად წასვლას არ ვაპირებ.

— ესე იგი, „ტორპედოში" რჩები...

— ქუთაისში თავს მშვენივრად ვგრძნობ. ამიტომ უმჯობესი იქნება, ჯერ კიდევ აქ ვითამაშო. თანაც არა მგონია, თავად კლუბმაც გამიშვას სადმე. ასე რომ, ალბათ „ტორპედოში" დავრჩები.

— ალბათ?

— მერე რა მოხდება, არავინ იცის. ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ვფიქრობ და არა მგონია, აზრი შევიცვალო.

**ბახა შალამბერიძე**



ზვიად სტურუა ჯერ ისევ ტორპედოელია

### ჰოლანდია

| |
|---|
| პირველი დივიზიონი |
| გადადებული მატჩი |
| ნაიმეგენი 3:0 როზენდალი |
| II დივიზიონი. XVI ტური |
| ოსი 0:3 ვოლენდამი |

### ინგლისი

| |
|---|
| ასოციაციის თასი |
| მეორე ეტაპი |
| როჩდეილი 3:2 როვერსი |
| ნორთჰემპტონი 0:1 კემბრიჯი |
| ბორნმუთი 3:2 საუთენდი |
| ლიგის თასი |
| მეოთხედფინალი |
| შეფილდ იუნ. 3:1 კრ. პალასი |
| მანჩესტერ იუნ. 1:0 ჩელსი |
| უიგანი 0:2 ბლეკბერნი |

### შოტლანდია

| |
|---|
| მეორე დივიზიონი |
| გადადებული მატჩი |
| ფორფარი — სტრანრარი გადაიდო |
| მესამე დივიზიონი |
| გადადებული მატჩი |
| ელგინი 3:1 ისტ სტირლინგი |

### ბელგია

| |
|---|
| თასის მერვედფინალი |
| ანტვერპენი 2:0 მონსი |

### იტალია

| |
|---|
| თასის მერვედფინალი |
| საპასუხო მატჩი |
| რომა 1:1 დ.დ. (პენ.4:1) ტრიესტინა (1:1) |

### პორტუგალია

| |
|---|
| თასის V ეტაპი |
| ბელენენსეში 3:4 ვარზიმი |

## კალათბურთი

### ULEB Cup ულების თასი

ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 17 დეკემბერი

| A ჯგუფი | C ჯგუფი |
|---|---|
| ფუენლაბრადა 78:73 ხუვენტუდი | ესტუდიანტესი 105:79 დარუშაფაკა |
| ურალ გრეიტი 87:94 გრაველინი | კრკა 101:83 ტრიესტი |
| სნაიდერო 92:78 ტელეკომი | შალონი 91:85 კიოლნი |

| B ჯგუფი | D ჯგუფი |
|---|---|
| ჟელეზნიკი 80:67 ვალენსია | ლეიდა 89:67 ასტრონავტსი |
| როზეტო 85:69 ოსტენდე | შოლე 76:65 ზადარი |

საქართველოში პირველი
სპეციალიზებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა. პული. სნუკერი
აქსესუარები Zeus ზევსი
- ქია 42 GEL
- ბურთები 178 GEL
- მაუდი 112 GEL
- მაგიდის განათება 107 GEL
- ქიის თარო 24 GEL
- ბურთები პირამიდისთვის 47 GEL
- შალითები ქიისთვის 19 GEL
- ცარცი, რეზინი 1.2 GEL
900 GEL-ან
მასტერი Master
დახმარება საბილიარდოს გახსნისას,
კონსულტაცია, გარანტია, მონტაჟი
ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, უზნაძის ქ. 2 (ყოფ. კამოს)
11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარდა



გიორგი ადამია



ლევან მელქაძე

# რა ვქნა, რომ ჯონი არ მწყალობს

## იაშვილი და არველაძე საჭირო ადგილზე წაიქცნენ

## ვაინერი ქართველებს გერმანიაშიც გამოადგათ

**მესამე ადგილზე** დაასრულა მეორე ბუნდესლიგის პირველი წრე „ფრაიბურგმა". ტრავმისგან საბოლოოდ გამოჯანმრთელებული ალექსანდრე იაშვილიც ბოლო ტურშილა დაუბრუნდა ძირითად შემადგენლობას და ლომის წილიც დაიდო გუნდის გამარჯვებაში. ჯერ იყო და, ლევან კობიაშვილმა მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გაათანაბრა ანგარიში 74-ე წუთზე. სხვათა შორის, „ფრაიბურგი" — „დუისბურგის" მატჩს მიხაელ ვაინერი სჯიდა. ეს მსაჯი კი ოქტომბერში ევროპის ცხრამეტწლამდელთა ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპისას თბილისში გახლდათ და საქართველოს ნაკრებსაც უმსაჯა. ანგარიშის გათანაბრებიდან ათიოდ წუთში კი იაშვილმა უკვე ბაირამოვიჩს „მიართვა" საგოლე პასი. წერტილი შეხვედრას ისევ ლევან კობიაშვილმა დაუსვა.



ალექსანდრე იაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ლევან კობიაშვილმა გაიტანა



ამ მოგებამ, ცხადია, „ფრაიბურგის" თავკაცი ფოლკერ ფინკე გაახარა. მან დადებითად შეაფასა პირველ წრეში გუნდის გამოსვლა და ბუნდესლიგაში დაბრუნებაზეც ალაპარაკდა. იაშვილი და კობიაშვილი კი „კიკერმა" საუკეთესოებად დაასახელა და მათი თამაში ორიანით შეაფასა.

პენალტი „აიკიდა" შოთა არველაძემაც. შოტლანდიური პრემიერლიგის ლიდერმა 3:0 სძლია „დანდი იუნაიტედს". ჩვენებურს ბლომად საგოლე შანსი ჰქონდა, მაგრამ სტუმართა მეკარეს ვერაფერი დააკლო. მატჩის მიწურულს კი გუნდის კაპიტანმა ბარი ფერგიუსონმა ჰეთ თრიქი სწორედ ქართველი თავდამსხმელის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გაახერხა.

„დანდიმ" ამჯერადაც უქართველებოდ ითამაშა „მოზერუელთან". ტრავმირებული გიორგი ნემსაძე და მწვრთნელთან უბრალ მყოფი ზურაბ ხიზანიშვილი თანაგუნდელებს ვერაფრით ეხმარებიან და „დანდიც" მეხუთედან მეშვიდე ადგილამდე ჩაცოცდა.

საჭირო და ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულა წაიღო „ამსტერდამ არენადან" „პსვ ეინდჰოვენმა". მოძულე „აიაქსის" დამარცხებით ეინდჰოვენელებმა პირველი ადგილი დაიბრუნეს. გოგა გახოკიძე მატჩის განაცხადში კი იყო, მაგრამ ოდენ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოუწია.

სათადარიგოებს ვერა და ვერ გასცდა გიორგი ქინქლაძეც. „დერბი ქაუნთიმ" ამჯერადაც მოიგო შინ 1:0 „ბრაიტონთან" და მეთერთმეტე ადგილამდე აღზევდა. ქინქლაძეს კი ჯონ გრეგორი არ სწყალობს და მერამდენე მატჩია, ჩვენებური უთამაშებელი რჩება.

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | | სად მეტოქე | ნთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **იტალია. სერია A** | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | კომო 2:1 | 87 | შეცვალეს | 11 | 0 | 1 |
| | | | **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | დუისბურგი 3:1 | 90 | საგოლე პასი | 9 | 0 | 3 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | დუისბურგი 3:1 | 90 | 2 გოლი | 17 | 7 | 3 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | დუისბურგი 3:1 | 90 | | 16 | 1 | 3 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | შ | დუისბურგი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | შ | დუისბურგი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| არჩილ არველაძე | კოლნი | შ | ბურგჰაუზენი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | კარლსრუე 0:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 1 | 0 | 8 |
| | | | **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი ქაუნთი | შ | ბრაიტონი 1:0 | 0 | სათადარიგო | 11 | 1 | 11 |
| | | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | დანდი იუნ. 3:0 | 90 | | 17 | 10 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | მოზერუელი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 7 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | მოზერუელი 1:1 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 7 |
| | | | **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | ს | აიაქსი 4:2 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 1 |
| | | | **ბელგია. მეორე დივიზიონი** | | | | | |
| გელა შეყილაძე | რუზელარე | შ | ლიეჟი 4:2 | ? | | ? | ? | 15 |
| | | | **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | პარალიმნი 1:2 | 90 | | ? | 2 | 4 |
| გიორგი შენგელია | მორფუ | შ | აეკ 1:1 | ? | | ? | 2 | 12 |
| ლევან მაღრაძე | აელ | შ | ომონია 2:3 | ? | | ? | 1 | 8 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# თხოვნა არ კმარა, მთავარია მოთხოვნა

## ვიტ ჯორჯია ფეხბურთელებს მარტო სიტყვაზე ვერ ელევა

**საქართველოს ჩემპიონატის** პირველი ეტაპი დასრულდა და, როგორც ყოველთვის, დაიწყო ლაპარაკი ქართული კლუბებიდან ფეხბურთელთა უცხოეთში, მეტწილად ესენგეს ქვეყნებში გადაბარგებაზე. ბოლო ხანს, ჩვენს ჩემპიონატს უცხო თვალი შემოეჩვია და პირველი ეტაპისას ტური არ ჩაივლიდა, რომელიმე მატჩს რუსი, უკრაინელი თუ სხვა უცხოელი არ დასწრებოდა.

სელექციონერები ქართველ ფეხბურთელებს აკვირდებიან და ნაირ-ნაირ მაცდურ წინადადებებს სთავაზობენ.

მაგალითად, თბილისში ახლახან მყოფმა რუსული „როსტსელმაშის" წარმომადგენელმა, ქართველმა ანზორ ჩიხლაძემ „ვიტ ჯორჯიას" ფორვარდ ლევან მელქაძის როსტოვში წაყვანა ისურვა, თუმც ეს საქმე ჯერჯერობით არ გამოსულა. „ვიტ ჯორჯიაში" „როსტსელმაშიდან" ფეხბურთელის თაობაზე ოფიციალურ მოთხოვნას ელის და მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი თავდამსხმელის კლუბიდან დროებით გათავისუფლება. შევიტყვეთ, რომ როსტოველები მელქაძეს დუბაიში მოსამზადებელ შეკრებაზე გასასინჯად ეპატიჟებიან და თუ ფეხბურთელმა მწვრთნელებს თავი მოაწონა, ტრანსფერზე ლაპარაკი ამის შემდეგ დაიწყება.

მსგავსი წინადადება აქვს „ვიტ ჯორჯიას" კიდევ ორ წამყვან ფეხბურთელს — ნახევარმცველ ლაშა ნოზაძისა და თავდამსხმელ გიორგი ადამიას გასინჯვა კიევის „არსენალის" თავკაც ვიაჩესლავ გროზნის მოსურვებია და საამისოდ ქართველ ფეხბურთელებს უკრაინაში იწვევს. „არსენალის" მესვეურნი „ვიტ ჯორჯიას" უკვე რამდენჯერმე დაუკავშირდნენ და ამ ფეხბურთელთა თაობაზე ესაუბრნენ. ქართული კლუბი კი, ისევე როგორც „როსტსელმაშისგან", უკრაინელთაგანაც ოფიციალურ მოთხოვნას ელის. ამ სამი ფეხბურთელის ბედი უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს.

**კობა ინასარიძე**

# ტორპედოს სარეზერვო რუსები ერგო

**თანამეგობრობის** და ბალტიისპირეთის ქვეყნების თასის გათამაშებას, 10 წელია ტრადიციად რომ უქცევიათ რუსებს, 18-დან 26 იანვრამდე მოსკოვი მასპინძლობს. კონჭისფრისას საქართველოს ჩემპიონ „ტორპედოს" ქვეჯგუფის მეტოქეებად რუსეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის ჩემპიონები ერგო, მაგრამ მოსკოვის „ლოკომოტივმა" უარი თქვა ესენგეს თასზე თამაშზე. რკინიგზელებმა არგუმენტად ჩემპიონთა ლიგის დაძაბული კალენდარი მოიყვანეს — რუსეთის ჩემპიონს 19 თებერვალს „მილანთან" აქვს სალიგო მატჩი და საამისოდ უცხოურ საწვრთნელ შეკრებას გეგმავს.

სევსენგეოდ რუსეთის საფეხბურთო კავშირს სხვა პრობლემაც გამოუჩნდა — ტურნირი მანამდე ერთგულმა სპონსორმა, ნავთობ-გაზის ცნობილმა კომპანიამ „იტერამ" მიატოვა და ისედაც საეჭვო რეპუტაციის გათამაშებას ჩაშლის საფრთხე დაემუქრა. რუსები ჯერაც ეძებენ ტურნირის დამფინანსებელს, „ლოკომოტივმა" კი არც მწვადი დაწვა, არც შამფური — თამაშზე თანხმობა განაცხადა, ოღონდ სარეზერვო შემადგენლობას დავტოვებთ მოსკოვშიო. მოკლედ, ქუთაისის „ტორპედოს" მეტოქე, ფაქტობრივად, „ლოკომოტივი 2" იქნება, ოღონდ არც ის არის გამორიცხული, რომ სათადარიგოთა გასაძლიერებლად რკინიგზელებმა ძირითადი შემადგენლობის ორი-სამი ფეხბურთელიც შეიგულონ ესენგეს თასზე სათამაშოდ.

**პაატა ქვანტალიანი**



აკაკი ჩხაიძე



ზაზა ჯანაშია

# ცაკარიასმა ჯანაშია ჩაუშვა და პრეზიდენტთან გაუშვა

**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, რომ ზაზა ჯანაშიას თბილისური „ლოკომოტივის" დატოვება მოუწევს. ქართული ფეხბურთის უდავოდ ერთ-ერთი ნიჭიერი ფეხბურთელის სიზარმაცე და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება რკინიგზული კლუბის თავკაცს, ჰერველ ლუის ცაკარიასსაც ამოუვიდა ყელში და გუნდის კრებაზე მკაცრად გააკრიტიკა შეგირდი.

ცაკარიასი მუდამ იმას გაიძახის, სულ მცირე, ორი ხეირიანი თავდამსხმელი მჭირდებაო, თუმც ასეთი ჯანაშიას ყოლას არყოლა არჩია და კლუბის ხელმძღვანელობისთვისაც უთქვამს, ვარჯიშების გამცდენ და მოუმზადებელ ფეხბურთელს ვერ ვიგუებო.

„ლოკომოტივის" მენეჯერ ლევან ყიფიანის თქმით, ახლა ჯანაშიას ბედს კლუბის პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძე გადაწყვეტს, რომელსაც ფეხბურთელი ამ დღეებში შეხვდება.

ამასობაში ლუის ცაკარიასმა ფეხბურთელთა ნაწილი კუთვნილ შვებულებაში გაუშვა, ხოლო ვისაც ექიმებმა დარბაზში თამაშის ნება დართეს, მოახლოებულ „ბენდელას თასზე" ითამაშებენ სპორტის სასახლეში.

9 იანვარს კი „ლოკომოტივი" სრულად შეიკრიბება და საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას დაიწყებს. იანვრის შუა რიცხვებში რკინიგზელები საწვრთნელ შეკრებაზეც წავლენ. ადგილი ჯერ არ შერჩეულა, თუმც რამდენიმე ვარიანტი გვაქვს და მალე რომელიმეს ავირჩევთო, გვითხრა ლევან ყიფიანმა.

**კახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუკეთესო!




„ფრანს ფუტბოლმა" 2002 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა – რონალდო! ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" თავდამსხმელი მეორედ გახდა სხვათა კონტინენტის უძლიერესი მოთამაშე და ამაში, ბუნებრივია, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გატანილმა ორმა გოლმა დიდად შეუწყო ხელი. მოგეხსენებათ, რონალდო მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირიც ბრძანდებოდა, რასაც საკონტინენტთაშორისო თასზე, პარაგვაის „ოლიმპიას" კარში შეგდებული ეფექტური გოლიც მიაყოლა. ვის გაასწრო „ოქროს ბურთის" მფლობელმა? უპირველესად ნაკრებსა და კლუბში თანაგუნდელ რობერტო კარლოსს, შემდეგ, გერმანელ მეკარე ოლივერ კანს, მიუნხენის „ბაიერნიდან", შემდეგ ფრანგ ზინედინ ზიდანს, რომელიც მასთან ერთად გამოდის „რეალის" შემადგენლობაში, ხუთეულის ბოლოს კი მიხაელ ბალაკს, გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველს. როგორც მოგახსენეთ, 26 წლის რონალდომ „ფრანს ფუტბოლის" რეფერენდუმში მეორედ გაიმარჯვა და ამ მაჩვენებლით წარსულის ისეთ ვარსკვლავებს გაუტოლდა, როგორებიც არიან ალფრედო დი სტეფანო, ფრანც ბეკენბაუერი, კარლ-ჰაინც რუმენიგე და კევინ კიგანი. სამგზის მფლობელი კი „ოქროს ბურთის" ისტორიაში მხოლოდ სამი იყო – მიშელ პლატინი, მარკო ვან ბასტენი და იოჰან კრუიფი

| ფეხბურთელი | კლუბი | ეროვნება | ქულა |
|---|---|---|---|
| რონალდო | ინტერი, რეალი | ბრაზილია | 171 |
| რობერტო კარლოსი | რეალი | ბრაზილია | 145 |
| ოლივერ კანი | ბაიერნი | გერმანია | 114 |
| ზინედინ ზიდანი | რეალი | საფრანგეთი | 78 |
| მიხაელ ბალაკი | ლევერკუზენი, ბაიერნი | გერმანია | 67 |
| ტიერი ანრი | არსენალი | საფრანგეთი | 54 |
| რაული | რეალი | ესპანეთი | 38 |
| რივალდო | ბარსელონა, მილანი | ბრაზილია | 29 |
| ილდირაი ბაშთურქი | ლევერკუზენი | თურქეთი | 13 |
| ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი | იტალია | 12 |
| ჰასან შაში | გალათასარაი | თურქეთი | 10 |
| რონალდინიო | პსჟ | ბრაზილია | 8 |
| მაიკლ ოუენი | ლივერპული | ინგლისი | 5 |
| რუუდ ვან ნისტელროი | მანჩესტერი | ჰოლანდია | 5 |
| კაფუ | რომა | ბრაზილია | 4 |
| ბერნდ შნაიდერი | ლევერკუზენი | გერმანია | 4 |
| ხუან კარლოს ვალერონი | დეპორტივო | ესპანეთი | 4 |
| პატრიკ ვიეირა | არსენალი | საფრანგეთი | 4 |
| ლუიშ ფიგუ | რეალი | პორტუგალია | 3 |
| ლუსიო | ლევერკუზენი | ბრაზილია | 3 |
| პაპე ბუბა დიოპი | ლანსი | სენეგალი | 2 |
| ელ-ჰაჯი დიუფი | ლანსი, ლივერპული | სენეგალი | 2 |
| რიო ფერდინანდი | ლიდსი, მანჩესტერი | ინგლისი | 2 |
| რუბენ ბარახა | ვალენსია | ესპანეთი | 1 |
| ფილიპო ინძაგი | მილანი | იტალია | 1 |
| როი მაკაი | დეპორტივო | ჰოლანდია | 1 |

## უქულოდ დარჩნენ

პაბლო აიმარი, სონი ანდერსონი, დევიდ ბექემი, ჯიბრილ სისე, ედმილსონი, რაიან გიგზი, იკერ კასილიასი, იუნიჩი ინამოტო, მიროსლავ კლოზე, პატრიკ კლუივერტი, ლუის ენრიკე, კლოდ მაკელელე, პაოლო მალდინი, პედრუ პაულეტა, ტომაშ როსიცკი, ხავიერ სავიოლა, კი-ჰეიონ სეოლი, იონ დალ ტომასონი, ფრანჩესკო ტოტი, დავიდ ტრეზეგე, პიერ ვან ჰოიდონკი, კრისტიან ვიერი, მარკ ვილმოტსი, სილვენ ვილტორიდი



რობერტო კარლოსი რონალდოს მცირედით ჩამორჩა



2002 წლის 30 ივნისი. ოლივერ კანი და რონალდო: მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ევროპის მომავალმა საუკეთესო ფეხბურთელმა ორი გოლით დაჩაგრა

# R O N A L D O




დაიბადა 1976 წლის 22 სექტემბერს რიო დე ჟანეიროს გარეუბანში

1988: თორმეტი წლისა თამაშს იწყებს თავის პირველ გუნდ „სოსიალ რამოსში"

1990: მას მერე, რაც რიო დე ჟანეიროს ცნობილი გუნდი „ფლამენგო" იწუნებს, პროფესიულ კონტრაქტს „რამოსთან" აფორმებს

1991: გადადის მეორე დივიზიონის „სან კრისტოვანში", სადაც 54 შეხვედრაში 36 გოლი გააქვს

1993: გადადის პირველი დივიზიონის „კრუზეიროში",. 60 შეხვედრაში 58 გოლი გააქვს და საყოველთაო ყურადღებას იპყრობს

1994: 17 წლისა პირველად თამაშობს ნაკრების შემადგენლობაში. ეს მარტში მოხდა, როდესაც ბრაზილიამ არგენტინას 2:1 მოუგო. იმავე ზაფხულს იგი ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატზე მიემგზავრება და, მართალია, იქ ერთ შეხვედრაშიც არ უთამაშია, როგორც გუნდის წევრი ჩემპიონის მედალს იგებს. აგვისტოში 4,7 მილიონ დოლარად ჰოლანდიის „პსვ ეინდჰოვენში" გადადის

1994-95: 30 გოლით ჰოლანდიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ხდება. ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში კოპა ამერიკაში მონაწილეობს

1995-96: „პსვ ეინდჰოვენის" შემადგენლობაში 12 გოლი გააქვს, რის შემდეგაც იძულებულია მუხლის ოპერაცია გაიკეთოს. გაზაფხულზე გამოჯანმრთელებული, ჰოლანდიის თასის ფინალში შეცვლაზე შედის და თასის მფლობელი ხდება. საბოლოოდ, „პსვ ეინდჰოვენში" მისი მონაგარი 56 შეხვედრაში 55 გოლია

1996: ივლისში „ბარსელონაში" გადადის. კატალონიელები მასში 19,5 მილიონ დოლარს იხდიან, რაც იმ დროისთვის მსოფლიოს რეკორდია

1996-97: „კამპ ნოუზე" პირველივე გამოჩენიდან ხალხის დიდ სიყვარულს იმსახურებს და რამდენიმე ბრწყინვალე გოლი გააქვს. 1997 წლის ბოლოს ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ასახელებენ, მანამდე კი „ბარსელონასთან" ერთად თასების მფლობელთა თასს იგებს. ფინალში, „პარი სენ ჟერმენის" კარში ერთადერთი გოლი სწორედ მას გააქვს. საბოლოოდ, „ბარსელონას" შემადგენლობაში, 38 შეხვედრაში 33 გოლი უგროვდება. 1997 წლის ივნისში „ინტერში" გადადის, თუმცა ხუთწლიანი კონტრაქტის გაფორმება მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში დღემდე ყველაზე ხანგრძლივ პროცესად რჩება: ივნისში დაწყებული ვაჭრობა საბოლოოდ 8 სექტემბერსღა დასრულდა, როდესაც ფიფამ მილანელებს დამატებით 1,8 მილიონი დოლარის გადახდა დაავალა, რითაც „ბარსელონამ" მიღებული თანხა 27,9 მილიონ დოლარამდე შეავსო. იმავე წლის ბოლოს „ფრანს ფუტბოლი" ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად ასახელებს

1998: ფიფა ზედიზედ მეორედ ასახელებს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად, 6 მაისს კი უეფას თასის ფინალში, „ლაციოს" კარში გოლი გააქვს. ის შეხვედრა „ინტერმა" 3:0 მოიგო და რონალდომ თავის ტიტულებს უეფას თასიც მიამატა.

იმავე წლის ოქტომბერში მუხლის ტკივილი კვლავ იჩენს თავს, რის გამოც მისი თამაშების რაოდენობა მცირდება

1999: მაისში ექვს თამაშში ექვსი გოლით ამთავრებს სეზონს. 23 ოქტომბერს სერია A-ში პირველად აძევებენ მოედნიდან (ეს მილანურ დერბიში მოხდა). 21 ნოემბერს „ინტერი" „ლეჩეს" 6:0-ს ამარცხებს. იმ შეხვედრაში რონალდოს გოლი გააქვს, თუმცა შემდეგ მინდორზე ეცემა. თავიდან კლუბი აცხადებს, რომ საშიში არაფერია, მაგრამ შემდეგ ირკვევა, რომ ოპერაცია აუცილებელია და 30 ნოემბერს პარიზის კლინიკაში საოპერაციო მაგიდაზე წვება. იმავე წლის 24 დეკემბერს ცოლად ირთავს მილენ დომინგუშს. ქორწილს რიო დე ჟანეიროში იხდიან

2000: 6 აპრილს რონალდოს და მილენს პატარა რონალდი უჩნდებათ. 12 აპრილს მოედანზე ბრუნდება, მაგრამ ექვს წუთში ისევ ეზღვრთება მინდორზე. 13 აპრილს ისევ პარიზში უკეთებენ ოპერაციას, რის შემდეგაც ორი წელიწადი რეაბილიტაციას უნდება

2002: წლის დასაწყისში სამშობლოში ჩადის, სადაც რვა ექიმი ერთთვიან კურსს უნიშნავს. ეს ჯანმრთელობის აღდგენის კურსია, რომელიც წარმატებით სრულდება და საბოლოოდ თავდამსხმელი მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშისთვის ემზადება. მსოფლიოს ჩემპიონატზე რონალდო და ბრაზილიის ნაკრები ტრიუმფალურად გამოდიან, რონალდოს რვა გოლი გააქვს — ორი ფინალში, გერმანიის ნაკრების კარში — ჯამში კი მუნდიალებზე გატანილი 12 გოლი უგროვდება, რითაც თვით პელეს უტოლდება.

აგვისტოში გორდება ჭორი, რომ რონალდოს „ინტერში" თამაში აღარ სურს და მისი აგენტი მადრიდის „რეალთან" აწარმოებს მოლაპარაკებას. ამის გამო დიდი სკანდალი ტყდება, „ინტერის" პრეზიდენტი, მასიმო მორატი, რომელიც მთელი ორი წლის განმავლობაში უმოქმედო ფეხბურთელს ხელფასს უხდიდა, ღალატით აღშფოთებულია და აცხადებს, რომ იგი ვერსადაც ვერ წავა, თუმცა სატრანსფერო სეზონის ბოლო დღეს რონალდო მაინც „რეალის" ფეხბურთელი ხდება. „რეალი" „ინტერს" 45 მილიონ ევროს უხდის.

3 დეკემბერს რონალდოს საკონტინენტთაშორისო თასზე, პარაგვაის „ოლიმპიას" კარში გოლი გააქვს — „რეალი" 2:0-ს იგებს.

12 დეკემბერს „უორლდ სოკერის" გამოკითხული ქომაგები წლის საუკეთესო ფეხბურთელად ასახელებენ.

16 დეკემბერს „ფრანს ფუტბოლის" გამოკითხული ჟურნალისტები „ოქროს ბურთს" ანიჭებენ



## რონალდო 2002

**ინტერი (იტალია)**

სერია A: 4 მატჩი, 4 გოლი

უეფას თასი: 2 მატჩი

**რეალი (ესპანეთი)**

პრიმერადივიზიონი:

7 მატჩი, 5 გოლი

ჩემპიონთა ლიგა: 3 მატჩი

ტოიოტას თასი: 1 გოლი

**ბრაზილიის ნაკრები**

მუნდიალამდე: 4 მატჩი, 1 გოლი

მუნდიალზე: 7 მატჩი, 8 გოლი

მუნდიალის მერე: 2 მატჩი, 2 გოლი

## ფრანს ფუტბოლის ოქროს ბურთის მფლობელები

| | |
|---|---|
| 1956 | სტენლი მეტიუზი (ინგლისი) |
| 1957 | ალფრედო დი სტეფანო (ესპანეთი) |
| 1958 | რაიმონ კოპა (საფრანგეთი) |
| 1959 | ალფრედო დი სტეფანო (ესპანეთი) |
| 1960 | ლუის სუარესი (ესპანეთი) |
| 1961 | ომარ სივორი (იტალია) |
| 1962 | იოზეფ მასოპუსტი (ჩეხოსლოვაკია) |
| 1963 | ლევ იაშინი (სსრკ) |
| 1964 | დენის ლოუ (შოტლანდია) |
| 1965 | ეუსებიო (პორტუგალია) |
| 1966 | ბობი ჩარლტონი (ინგლისი) |
| 1967 | ფლორიან ალბერტი (უნგრეთი) |
| 1968 | ჯორჯ ბესტი (ჩრდ. ირლანდია) |
| 1969 | ჯანი რივერა (იტალია) |
| 1970 | გერდ მიულერი (გფრ) |
| 1971 | იოჰან კრუიფი (ჰოლანდია) |
| 1972 | ფრანც ბეკენბაუერი (გფრ) |
| 1973 | იოჰან კრუიფი (ჰოლანდია) |
| 1974 | იოჰან კრუიფი (ჰოლანდია) |
| 1975 | ოლეგ ბლოხინი (სსრკ) |
| 1976 | ფრანც ბეკენბაუერი (გფრ) |
| 1977 | ალან სიმონსენი (დანია) |
| 1978 | კევინ კიგანი (ინგლისი) |
| 1979 | კევინ კიგანი (ინგლისი) |
| 1980 | კარლ-ჰაინც რუმენიგე (გფრ) |
| 1981 | კარლ-ჰაინც რუმენიგე (გფრ) |
| 1982 | პაოლო როსი (იტალია) |
| 1983 | მიშელ პლატინი (საფრანგეთი) |
| 1984 | მიშელ პლატინი (საფრანგეთი) |
| 1985 | მიშელ პლატინი (საფრანგეთი) |
| 1986 | იგორ ბელანოვი (სსრკ) |
| 1987 | რუუდ გულიტი (ჰოლანდია) |
| 1988 | მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია) |
| 1989 | მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია) |
| 1990 | ლოთარ მათეუსი (გერმანია) |
| 1991 | ჟან-პიერ პაპენი (საფრანგეთი) |
| 1992 | მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია) |
| 1993 | რობერტო ბაჯო (იტალია) |
| 1994 | ხრისტო სტოიჩკოვი (ბულგარეთი) |
| 1995 | ჟორჟ ვეა (ლიბერია) |
| 1996 | მათიას ზამერი (გერმანია) |
| 1997 | რონალდო (ბრაზილია) |
| 1998 | ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი) |
| 1999 | რივალდო (ბრაზილია) |
| 2000 | ლუიშ ფიგუ (პორტუგალია) |
| 2001 | მაიკლ ოუენი (ინგლისი) |
| 2002 | რონალდო (ბრაზილია) |



მიშელ პლატინი ერთადერთია, ვინც ზედიზედ სამჯერ გახდა საუკეთესო




ემერსონ ლეაო

# სანტოსი დაბრუნდა

## გარინჩა ცოცხალია, პელე ისევ თამაშობს

**ბრაზილია**

**ფინალი. საპასუხო მატჩი**

**კორინთიანსი 2:3 სანტოსი (0:2)**

**სამოციანი** წლების მსოფლიო გუნდის, „სანტოსის" სახელი კვლავ გაკიაფდა დიდი ფეხბურთის ამბებში.

კვირას საერთობრაზილიური პირველობის მეორე ფინალურ მატჩში „სანტოსმა" 3:2 მოუგო „კორინთიანსს", იქამდე მოუგო პირველი მატჩიც და მთელი იმხელა ბრაზილიის ჩემპიონი შეიქნა.

„სანტოსის" სიდიადეს 1973 წლიდან დაესვა წერტილი, ანუ მას შემდეგ, რაც პელე ამერიკაში გადაბარგდა. „თევზებად" წოდებული ეს გუნდი დაიმცრო და პროვინციულ კლუბად ჩამოყალიბდა. თუ მოუგია რამე, მხოლოდ რეგიონული მნიშვნელობისა. ასეთი ტიტული ბოლო 28 წელიწადში ორი იყო და კიდევ კონმებოლის თასი, რომელიც რეზერვისტების შეჯიბრადაა მონათლული.

ახლა კი „სანტოსი" დაბრუნდა, თინეიჯერთა თანავარსკვლავედით და ბრაზილიის ყველაზე ბობოქარი მწვრთნელის, ემერსონ ლეაოს თავკაცობით.

მეორე ფინალურ მატჩში კარლოს ალბერტო პარეირას „კორინთიანსის" ძლევა სწორედაც რომ სანტოსური იყო: პირით ხაზთან ღრიალებდა ემერსონ ლეაო, რომელიც ბოლოს ტრიბუნაზე გააძევეს, ყრმა გენიოსი რობინიო კი მოწინააღმდეგის დაცვას ანადგურებდა. რობინიომ თავად ერთი გაიტანა და ორიც სხვებს მოუმზადა.

ჟონგლიორი და დრიბლიორი რობინიო ჯერ 18 წლისაა და 17 წლის დიეგუსთან ერთად „სანტოსის" სახეს ქმნის. მეორე ფინალურ მატჩში დიეგუს ტრავმის გამო არ უთამაშია, თუმცალა ეს ორი ბიჭი მაინც ითვლება ბრაზილიის მთავარ იმედად.

განთქმულმა რობერტო ფალკაომ, რომელსაც ამ მატჩის ტელერეპორტაჟი მიჰყავდა „გლობოს" ტელეარხზე, მთელი შესვენება რობინიოს ფინტების თვლას მოანდომა და დაწვრილებით აღწერა როგორ წამოაგო ამ ბიჭმა პენალტზე „კორინთიანსის" მცველი როჟერუ. ეს პენალტი რობინიომვე გაიტანა, ფალკაომ კი რვაჯერ გაამეორა ორთაბრძოლის ეპიზოდი.

„სანტოსმა" მძიმედ მიაღწია ფინალამდე: ბოლო ტურშილა მოხვდა საპლეიოფო რვიანში, ნახევარფინალში კი „გრემიოს" წინააღმდეგ უმძიმესი ბრძოლა გადაიხადა. მაშინ „გრემიოს" მეკარე დარნლეიმ განაცხადა, თუ-რობინიო თავისი თამაშით და ფინტაობით მცველთა დაცინვას განაგრძობს, ფეხს მოტეხავენო.

ჩემპიონობამ „სანტოსი" ფინანსურადაც გამართა წელში. გუნდის ლეგენდარული სტადიონი „ვილა ბელმორო", საშინელ დღეშია. ამ გაზაფხულზე „თევზების" პატრონები სულაც გაკოტრების პირას იყვნენ.

ჩემპიონობამ თავი ააწევინა მწვრთნელ ემერსონ ლეაოსაც, რომელიც წელიწადნახევრის წინ ნაკრების თავკაცობიდან გააგდეს კონფედერაციათა თასზე ავსტრალიასთან წაგების გამო.

„ბედნიერებაა, როცა ამდენ ნიჭიერ ახალგაზრდას ავარჯიშებ" — ამბობს ლეაო, რომელსაც ახლა მიზნად აქვს ექვსი თვით მაინც შეინარჩუნოს გუნდის ეს შემადგენლობა და „სანტოსს" ლიბერტადორესის თასი ჩამოატანინოს, რომელიც პელეს და მის ამხანაგებს ბოლოს 1963 წელს მოუგიათ.

ბრაზილიური პრესა კი რობინიოს გამო არ ცხრება. მას არ ადარებენ არც რონალდოს და არც ვინმე ასეთს. მას პირდაპირ ადარებენ პელეს.

„უმაღლესი დონის ფეხბურთელი, გენიოსი, საძირკველი, საოცარი, რომელიც გვახსენებს მეფეს (პელეს) — დაწერა მესვეტე სესარ სებრამ ყოველდღიურ სპორტულ „ლანსეში" — მისი საკვირაო თამაში არასოდეს დაგვავიწყდება."

„ო გლობოში" კი ეწერა: „არტისტი, რომელმაც ბელმოროზე პელეს სული დააბრუნა."

მაგრამ სხვანი მას უფრო გარინჩას ამსგავსებენ: „პირწავარდნილი გარინჩაა, დაცვა ტერორში ჰყავს", ესეც „ო გლობოში" ეწერა და მესვეტე ფერნანდუ კალასანსის აზრია.

მართლაც სოგიეჯა როცა ბურთს შვიდჯერ გადაატარებ ფეხს და გამწარებულ მცველს, რომელიც აქეთ-იქით აწყდება, აიძულებ მოგცელოს.

„სანტოსი" ჩემპიონია.

**ლუკაშ მოუზკაშ**



ძველად თუ პელესი იყო, „სანტოსი" ახლა რობინიოს გუნდია




„სანტოსმა" სიდიადე დაიბრუნა

---

**სამხრეთული დარდუბალა**

# გაიძვერა, ფეხმოუცვლელი, მიამიტი პრეზიდენტები

## შენც წადი, შენც წადი...



ნერი პუმპიდო დოლარის კურსმა სამშობლოში გააქცია

### ჩილე

მცირე ვიქტორინა მოვაწყოთ: იტალიაში — „ლაციო", ჩილეში — ? სწორი პასუხია „კოლო კოლო" და აი, რატომ: „ლაციოს" ღრმა ფინანსურ კრიზისზე რა ხანია, ვლაპარაკობთ, მაგრამ გუნდი მაინც იგებს და იგებს. აგერ, ბოლო ტურში „იუვენტუსი" მისსავე მოედანზე დაამარცხა. და რა ხდება ოკეანის გაღმა? „კოლო კოლო", ჩილეს ყველაზე ტიტულიანი და პოპულარული კლუბი, რომლის გაკოტრებაზე თითქმის ერთი წლის წინ ვიუწყებოდით, ჩემპიონატის ფინალში გავიდა.

ჩილეს ჩემპიონატმა პლეი ოფს უწია და ნახევარფინალში „კოლო კოლომ" საერთო ცხრილში პირველადგილოსანი „კორბელოა" დაამარცხა — თან შინაც მოუგო და სტუმრადაც. ახლა საქმე ისეა, რომ „კოლო კოლომ" გაისად ლიბერტადორესის თასზე თამაშიც გაინაღდა, სადაც მთელი სამი წელია, აღარ უთამაშია. „კორბელოზე" კი მხოლოდ იმის თქმას დავჯერდებით, რომ შუაგულ ატაკამას უდაბნოს შავი ლითონის მადნით მდიდარ ქალაქის, კალამას გუნდია.

ფინალში „კოლო კოლოს" მეტოქე „უნივერსიდად კატოლიკა" იქნება, ვინაც სანტიაგოურ დერბიში დასცა „უნივერსიდად დე ჩილე". გადამწყვეტი ჩილეს ნაკრების წევრის, უნივერსიტეტის მცველის პედრო რეიესის ავტოგოლი გამოდგა.

ამ მატჩის შემდეგ კი აი, რა მოხდა: სტუდენტთა პრეზიდენტმა რენე ოროსკომ ფეხბურთელებს განუცხადა, რაკი ფინალს მიღმა დარჩით, გაისად ხელფასებს შეგიმცირებთო. ფეხბურთელებმა კი მას პასუხად ორი თვის დავალიანების გასტუმრება მოსთხოვეს. ხოლო მწვრთნელმა ვიქტორ უგო კასტანედამ გაიძვერა პრეზიდენტს ნამუსი შეახსენა: რა ხანია, უხელფასოდ ვთამაშობთ და ნახევარფინალში გავედითო.

### ვენესუელა

„შენც წადი, შენც წადი"... — აი, ასე უმღერიან, უფრო კი უყვირიან ვენესუელები თავიანთ პრეზიდენტ უგო ჩავესს, ის კი, ჰოი, საოცრებავ, ფეხის მოცვლას არ აპირებს.

ერთი სიტყვით, ქვეყნის ოპოზიციამ მთელი ერი დარაზმა და უპრეცედენტო აქციას მართავს — ორკვირიანი საყოველთაო გაფიცვისთვის ემზადებიან. საყოველთაობა კი, ცხადია, ფეხბურთელებსაც გადასწვდა და იანვრის შუაგულამდე ვენესუელაში ბურთი არ გაგორდება. ფეხბურთის ფედერაცია გაფიცულია.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ერთი უხერხულობაც იქმნება. კერძოდ, როგორ უნდა მოიქცნენ ვენესუელაში მოთამაშე ის უცხოელები, რომლებსაც კონტრაქტების ვადა ამ თვის ბოლოს უმთავრდებათ? ასეთები კი მრავლად არიან.

### პარაგვაი

გაისად აპრილში ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნებია. რა კავშირი აქვს ამ ამბავს ფეხბურთთან? პირდაპირი: ერთ-ერთი კანდიდატი ოსვალდო მონინგის დიბი გახლავთ. და თუ არ გახსოვთ, ეს კაცი ვინაა, შეგახსენებთ, „ოლიმპიას" პრეზიდენტია. ხოლო „ოლიმპია" თავის მხრივ ის გუნდია, „ტოიოტას" თასისთვის ბრძოლაში „რეალთან" რომ დამარცხდა.

ერთი სიტყვით, სინიორ დიბი დიდ გაწამაწიაშია, 23 დეკემბერს თავისი პარტიის, „კოლორადოს" ყრილობისთვისაც ემზადება და ფეხბურთისთვის, ცხადია, ნაკლები დრო რჩება. ამ დროს კი მასთან კაბინეტში ნერი პუმპიდო შედის და ხელფასის გაზრდას სთხოვს. წარმოიდგინეთ, როგორ ხასიათზე დადგებოდა პრეზიდენტი (ჯერჯერობით, მხოლოდ კლუბის).

ერთი შეხსენებაც: ნერი პუმპიდო 1976 წლის არგენტინელი მსოფლიოს ჩემპიონი მეკარეა, ახლა კი „ოლიმპიას" წვრთნის და „რეალთან" მატჩამდე გუნდს ლიბერტადორესის თასი მოაგებინა.

ნერი, შენ წარმოდგენა არ გაქვს დოლარის კურსზე" — ამგვარი, პუმპიდოსთვის გაუგებარი პასუხით გაისტუმრა დიბიმ ხელქვეითი. პუმპიდო გაბრაზდა და სამშობლოში წავიდა — ალბათ, იმ იმედით, დავჭირდები და დამიძახებსო. ხოლო დიბიმ უფრო გასაგები ენით ეს განაცხადა: „პუმპიდოსი კარგად მესმის, მაგრამ როგორ გადავუხადო იმაზე მეტი, ვიდრე კლუბი შოულობს?"

ცხადია, ვერ გადაუხდის, ამასთანავე, კლუბს იმ 15 ფეხბურთელის კონტრაქტებიც [illegible] , რომლებსაც ვადა ამ თვის ბოლოს გასდით.

**კოტე კეკელია**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XVIII ტური

**ბოლტონი 0:3 ლიდსი**

0:1 მილსი (12), 0:2 ფაულერი (16), 0:3 უილკოქსი (75)

**ბოლტონი:** იასკულაინენი, ნგოტი (უიტლოუ 78), ბერგსონი, ბერნეში, კამპო, ჩარლტონი, ფრანდსენი, ოკოჩა (ვოლტერსი 81), ტოფტინგი (ფარელი 79), ჯორკაეფი, პედერსენი

**მწვრთნელი:** სემ ალარდაისი

**ლიდსი:** პ. რობინსონი, ხ. კელი, მეთიუ ჯონსი? ... ლუციჩი, ჰარტი, მილსი, ბაკე, ოკონი, უილკოქსი, კიუელი, ფაულერი (ს. ჯონსონი 80)

**მწვრთნელი:** ტერი ვენეიბლზი

**გაფრთხილება:** ოკონი, ჰარტი, მილსი

**მსაჯი:** პოლი

23 378 მაყურებელი

# როგორც იქნა!



მასპინძელთა რბევა დენი მილსის ამ დარტყმით დაიწყო

**როგორც იქნა**, გაიღიმა ტერი ვენეიბლზმა. „ლიდსმა" მოიგო, სტუმრად 3:0 სძლია „ბოლტონს" და ისეთი თამაში აჩვენა, ხალხი რომ მიეჩვევია.

დენი მილსმა, რობი ფაულერმა და ჯეისონ უილკოქსმა „ლიდსის" ძველი ძალა გაგვახსენეს. „ბოლტონსაც" ჰქონდა რამდენიმე საგოლე შანსი, მაგრამ ამაოდ.

„ცოტა იღბალიც შეგვეშველა — თქვა ვენეიბლზმა, რომელიც ექვსი ტურის განმავლობაში ელოდა მოგებას — ჩვენს გუნდში დიდი პროფესიონალები თამაშობენ."

უკვე მეთექვსმეტე წუთზე იორკშირელები 2:0 იგებდნენ: დენი მილსმა შორიდან დაუბრახუნა, მერე კი თითქოს დავიწყებულმა ფაულერმა მცველთა შეცდომა გამოიყენა.

„ლიდსს" არ ჰყავდა საუკეთესო შემადგენლობა, თუმცა, ისიც ცნობილია, რომ ვენეიბლზი არ სწყალობს გუნდის რამდენიმე აღიარებულ მოთამაშეს და ჯიუტად ატარებს თავისებური განახლების ხაზს, გამორჩევით ნახევარდაცვასა და წინა ხაზში.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 18 | 11 | 3 | 4 | 37:20 | 36 |
| მანჩესტერი | 18 | 10 | 5 | 3 | 30:17 | 35 |
| ჩელსი | 18 | 9 | 7 | 2 | 32:15 | 34 |
| ევერტონი | 18 | 10 | 2 | 6 | 22:21 | 32 |
| ლივერპული | 18 | 9 | 4 | 5 | 28:19 | 31 |
| ნიუკასლი | 17 | 9 | 2 | 6 | 27:24 | 29 |
| ტოტენჰემი | 18 | 8 | 4 | 6 | 24:24 | 28 |
| საუთჰემპტონი | 18 | 7 | 6 | 5 | 21:18 | 27 |
| მიდლსბრო | 18 | 7 | 5 | 6 | 22:16 | 26 |
| ბლექბერნი | 18 | 6 | 6 | 6 | 24:22 | 24 |
| ჩარლტონი | 18 | 7 | 3 | 8 | 20:22 | 24 |
| სიტი | 18 | 7 | 3 | 8 | 22:25 | 24 |
| ბირმინგემი | 18 | 6 | 5 | 7 | 17:21 | 23 |
| ფულემი | 18 | 6 | 4 | 8 | 22:23 | 22 |
| ასტონ ვილა | 18 | 6 | 4 | 8 | 17:18 | 22 |
| ლიდსი | 18 | 6 | 2 | 10 | 23:25 | 20 |
| სანდერლენდი | 18 | 4 | 5 | 9 | 10:24 | 17 |
| ვესტ ბრომვიჩი | 18 | 4 | 3 | 11 | 13:27 | 15 |
| ბოლტონი | 17 | 3 | 5 | 9 | 18:31 | 14 |
| ვესტ ჰემი | 18 | 3 | 4 | 11 | 17:34 | 13 |



ტერი ვენეიბლზი

# პერპერი გაპილპილდა



ლუის ფერნანდესს უკან დასახევი გზა მოუჭრეს

**ჯერ კიდევ** ერთი თვის წინ „პარი სენ ჟერმენის" მწვრთნელს, ლუის ფერნანდესს გუნდის ქომაგებმა ტრიბუნებიდან შეუღრინეს. მიზეზი გუნდის უსახური თამაში გახლდათ. პარიზულმა კლუბმა შვიდ მატჩში მართალია, პრინციპული, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგო „ლიონთან", დანარჩენ ექვსში კი დამარცხდა. გარდა ამისა, გუნდი უეფას თასიდან „ბოავიშტამ" გააგდო, რამაც ფერნანდესის თავს, არა მარტო ფანების, კლუბის პრეზიდენტ ლორან პერპერის რისხვაც დაატეხა.

ჩემპიონატის ბოლო ტურში პსჟ-მ „რენთანაც" წააგო, რამაც პერპერი საბოლოოდ გააპილპილა.

ლუის ფერნანდესს ბოლო შანსს მაინც მისცემენ. ხვალ მისი გუნდი „ბორდოს" უმასპინძლებს და ამ მატჩის შემდეგ გადაწყდება მწვრთნელის ბედი. აღნიშნული მატჩით საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყება.

ამჟამად თვითონ „ბორდოსაც" არ ულხინს, ამიტომ შეხვედრა მეტად დაძაბული იქნება.

„დარჩება თუ არა ფერნანდესი, „ბორდოსთან" თამაშის შემდეგ გაირკვევა" — თქვა პრეზიდენტმა, ხოლო თავად მწვრთნელს მიაჩნია, რომ საგანგაშო არაფერია: „ჩვენ სერიოზულად ვემზადებით ხვალინდელი მატჩისთვის. ცხადია, ვნერვიულობ ბიჭების გამო, რადგან ერთობ ხარისხიანი თამაშის მიუხედავად, ისინი დადებით შედეგს ვერ აღწევენ. ვიმეორებ, გუნდი კარგად გამოიყურება, უბრალოდ, უიღბლობის სერია ოდნავ გაიწელა."

**მაშა ხუციშვილი**

## საბერძნეთი

10-11 ტური: არისი — პაოკ 2:0; ირაკლისი — აეკ 0:2; ქსანთი — პანათინაიკოსი 0:0; იონიკოსი — პროდეფტიკი 0:1; კალითეა — იანინა 2:2; ოფი — ეგალეო 2:2; პანაჰაიკი — აკრატიტოსი 2:0; ოლიმპიაკოსი — პანიონიოსი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 11 | 6 | 5 | 0 | 26:4 | 23 |
| პაოკ | 11 | 6 | 3 | 2 | 26:16 | 21 |
| არისი | 11 | 6 | 3 | 2 | 14:9 | 21 |
| პანათინაიკოსი | 11 | 6 | 2 | 3 | 12:8 | 20 |
| აეკ | 11 | 5 | 3 | 3 | 16:12 | 18 |
| ირაკლისი | 11 | 5 | 3 | 3 | 13:10 | 18 |
| პროდეფტიკი | 11 | 4 | 5 | 2 | 12:9 | 17 |
| ქსანთი | 11 | 3 | 7 | 1 | 14:6 | 16 |
| პანიონიოსი | 11 | 4 | 3 | 4 | 10:10 | 15 |
| ეგალეო | 11 | 2 | 7 | 2 | 9:11 | 13 |
| ოფი | 11 | 2 | 5 | 4 | 11:13 | 11 |
| კალითეა | 11 | 2 | 5 | 4 | 10:13 | 11 |
| იონიკოსი | 11 | 2 | 4 | 5 | 6:17 | 10 |
| აკრატიტოსი | 11 | 2 | 2 | 7 | 9:22 | 8 |
| იანინა | 11 | 1 | 4 | 6 | 10:16 | 7 |
| პანაჰაიკი | 11 | 1 | 1 | 9 | 4:26 | 4 |

## იტალია

### სერია B. XVI ტური

**ვერონა 1:2 სიენა**

0:1 ტირიბოკი (10), 1:1 იტალიანო (69), 1:2 რობინო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრიესტინა | 15 | 7 | 5 | 3 | 23:15 | 26 |
| სიენა | 15 | 6 | 8 | 1 | 15:10 | 26 |
| ტერნანა | 15 | 7 | 4 | 4 | 17:13 | 25 |
| კალიარი | 14 | 7 | 4 | 3 | 15:12 | 25 |
| ლეჩე | 15 | 5 | 9 | 1 | 18:13 | 24 |
| სამპდორია | 15 | 6 | 6 | 3 | 17:12 | 24 |
| ლივორნო | 15 | 7 | 2 | 6 | 18:13 | 23 |
| ანკონა | 15 | 5 | 7 | 3 | 20:17 | 22 |
| პალერმო | 15 | 6 | 3 | 6 | 16:19 | 21 |
| ასკოლი | 15 | 5 | 5 | 5 | 14:12 | 20 |
| მესინა | 14 | 5 | 4 | 5 | 21:20 | 19 |
| ვენეცია | 15 | 5 | 4 | 6 | 14:17 | 19 |
| ვერონა | 15 | 4 | 6 | 5 | 20:18 | 18 |
| ჯენოა | 15 | 4 | 6 | 5 | 18:16 | 18 |
| ვიჩენცა | 15 | 3 | 8 | 4 | 17:21 | 17 |
| ბარი | 15 | 2 | 9 | 4 | 12:12 | 15 |
| კოზენცა | 15 | 4 | 3 | 8 | 16:21 | 15 |
| კატანია | 15 | 4 | 3 | 8 | 17:26 | 15 |
| ნაპოლი | 15 | 2 | 6 | 7 | 16:25 | 12 |
| სალერნიტანა | 15 | 3 | 2 | 10 | 14:26 | 11 |

## პორტუგალია

### I ლიგა. XIV ტური

**ბეირა მარი 3:3 ბოავიშტა**

1:0 რიკარდუ სოუზა (4), 1:1 პედრუ სანტუში (16), 2:1 ლუიშ მანუელი (32), 2:2 კლაუდიუ (52), 3:2 ფ. ფერი (82), 3:3 ელპიდიუ სილვა (89)

**პორტუ 2:1 ფეირეირა**

1:0 პოსტიგა (31), 1:1 ბეტუ სანტუში (57), 2:1 იანკაუსკასი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 14 | 11 | 3 | 0 | 30:12 | 36 |
| ბენფიკა | 15 | 10 | 2 | 3 | 33:12 | 32 |
| გიმარაეში | 14 | 8 | 2 | 4 | 29:20 | 26 |
| ვარზიმი | 14 | 8 | 1 | 5 | 24:18 | 25 |
| სპორტინგი | 14 | 8 | 1 | 5 | 23:20 | 25 |
| ბელენენსეში | 14 | 7 | 2 | 5 | 18:17 | 23 |
| ჟილ ვისენტე | 15 | 6 | 2 | 7 | 20:23 | 20 |
| მარიტიმუ | 14 | 6 | 1 | 7 | 16:23 | 19 |
| ნასიონალი | 14 | 5 | 3 | 6 | 18:18 | 18 |
| ლეირია | 14 | 5 | 3 | 6 | 19:20 | 18 |
| სეტუბალი | 14 | 3 | 8 | 3 | 18:15 | 17 |
| ბოავიშტა | 14 | 4 | 4 | 6 | 14:16 | 16 |
| ფეირეირა | 14 | 5 | 1 | 8 | 16:24 | 16 |
| ბრაგა | 14 | 4 | 4 | 6 | 13:22 | 16 |
| ბეირა მარი | 14 | 3 | 5 | 6 | 15:21 | 14 |
| მორეირენსე | 14 | 3 | 3 | 8 | 13:19 | 12 |
| აკადემიკა | 14 | 2 | 5 | 7 | 16:25 | 11 |
| სანტა კლარა | 14 | 3 | 2 | 9 | 18:28 | 11 |

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## ფეხბურთის რუბრიკა



**ინგლისის** ნაკრების შვედი მწვრთნელის, სვენ გორან ერიკსონის სკამი ცოტათი მას შემდეგ შეირყა რაც ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარემ ადამ კროზიემ თანამდებობა დატოვა. პრესაში გახშირდა ერიკსონისა და მისი ნაკრების კრიტიკა. „ინგლისში პრესის ზეწოლა გაცილებით მძლავრია, ვიდრე იტალიაში, პორტუგალიასა ან შვედეთში. როცა ის აუტანელი გახდება, პოსტს მივატოვებ" — ამოხდა სვენ გორან ერიკსონს.

**იტალიური** „რომას" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ბრძანა, რომ ზამთრის არდადეგების პერიოდში გუნდის გაძლიერებას გეგმავს. საამისოდ მას „ლიდსის" ფრანგი ოლივიე დაკური, ბრაზილიელი კლებერსონი და „კიევოს" იტალიელი ნიკოლა ლეგროტალიე შეუგულებია.

**ინგლისურ** „ნიუკასლს" „ლაციოს" ჰოლანდიელი მცველი იაპ სტამი მოსდომებია. ბობი რობსონმა განაცხადა, სტამის შეძენას თუ გადავწყვეტ, მხოლოდ ალექს ფერგიუსონის რეკომენდაციით. „ჩვენ არ ვაპირებთ ასაკში შესული მცველის სანაცვლოდ დიდი ფულის გადახდას. ის დრო წავიდა, როცა 30 წლის ფეხბურთელში 12 მილიონ გირვანქას იხდიდნენ" — თქვა რობსონმა. შეგახსენებთ, რომ ალექს ფერგიუსონი და იაპ სტამი თავის დროზე სკანდალით გაიყარნენ.

**გერმანული** „დორტმუნდი" მათ სიაში ჩაეწერა, ვისაც მიროსლავ კლოზეს შეძენა სწადია. უკიდურეს ფინანსურ კრიზისში მყოფი „კაიზერსლაუტერნი" ფორვარდს 20 მილიონ ევროდ აფასებს. „სიბრიყვეა, იჯდე გულხელდაკრეფილი მაშინ, როცა ასეთი მაღალი კლასის ფეხბურთელის შეძენის შანსი გიჩნდება" — თქვა „ბორუსიას" მენეჯერმა მიხაელ მაიერმა.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის" ირლანდიელი კაპიტანი როი კინი, რომელიც ტრავმისა და დისკვალიფიკაციის გამო არ თამაშობდა, მომჯობინდა. მას თეძოს ოპერაცია გაუკეთეს, ვარჯიშობს კიდეც და, როგორც ალექს ფერგიუსონი ირწმუნება, მომავალ კვირას თამაშსაც შეძლებს.

**შვეიცარიელი** ურს ლინსი ფიფას ახალი გენერალური მდივანია. როგორც მოგეხსენებათ, მისი წინამორბედი მიშელ ზენ-რუფინენი ამა წლის ივნისში ხელმეორედ არჩეულმა ზეპ ბლატერმა მკაცრად დასაჯა და მის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანიის გამო თანამდებობიდან გაათავისუფლა. მას შემდეგ ეს მიმზიდველი თანამდებობა ვაკანტური იყო, ზემოთ ხსენებული ლინსი კი ამ მოვალეობას დროებით ასრულებდა. ამიერიდან იგი საქმიანობას, როგორც ფიფას ოფიციალური გენერალური მდივანი, ისე გააგრძელებს.

**ლიბიისა** და ტუნისის ეროვნულ ნაკრებთა ყოფილი მწვრთნელი ფრანკო სკოლიო სერია B-ს მკვიდრ „ნაპოლის" ახალ მესაჭედ მოგვევლინა. მან ამ პოსტზე ფრანკო კოლომბა შეცვალა, რომლის ნეაპოლური კარიერა საკმაოდ წარუმატებელი გამოდგა. კოლომბას ხელმძღვანელობით კლუბმა საამსეზონო თხუთმეტი თამაშიდან შვიდი წააგო და ამჟამად სერია B-ს ფსკერზე განისვენებს, მაშინ, როცა წინა სეზონში ლუიჯი დი კანიოს დარიგებულ „ნაპოლის" სულ ცოტა დააკლდა სერია A-ს საგზურის მოსაპოვებლად. კლუბის ხელმძღვანელობა სკოლიოზე დიდ იმედებს ამყარებს. მას ხომ იტალიაში „ფეხბურთის პროფესორს" უწოდებენ და ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მწვრთნელია.

**შვეიცარიაში** მოკალათებულმა უეფას დისციპლინარებმა „ლიდს იუნაიტედის" ნახევარმცველ ლი ბოიერის საკითხზე დაიწყეს მსჯელობა. საქმე ინგლისელის არასპორტულ საქციელს ეხება. უეფას თასის გათამაშების მესამე ეტაპზე, „ელანდ როუდზე" გამართული მატჩისას ბოიერმა მალაგელ ხერარდოს მძლავრად მოუქნია ფეხი და თავში მოარტყა. უეფელებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, როგორც წესია, მატჩის ვიდეოჩანაწერის საფუძველზე განუზრახავთ. განაჩენი 8 იანვარს გახდება ცნობილი. ბოიერი, სავარაუდოდ, ფულად ჯარიმასა და ევროპულ ტურნირებზე დისკვალიფიკაციას გამორჩება. თუ ეს მართლაც ასე მოხდა, ჩხუბისთავ ლის სასჯელის მოხდა გაისად მოუწევს, წლეულს ხომ „ლიდსი" ევროპაში ვეღარ ითამაშებს.

**რუსეთში** საფეხბურთო სეზონის დასრულების შემდეგ პრემიერლიგის რამდენიმე კლუბში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. სანკტ პეტერბურგის „ზენიტს", „სატურნს", „ალანიასა" და „ურალანს" მომდევნო სეზონიდან ახალი მწვრთნელები უხელმძღვანელებენ. ამ დღეებში მათ რიგებს „ტორპედო ზილიც" შეუერთდა. მართალია, „ზილმა" წინა სეზონში ვადიმ ნიკონოვის თაოსნობით მოახერხა და პრემიერლიგაში ადგილი შეინარჩუნა, მაგრამ კლუბის გენერალურ მდივან იური ბელოუსის განცხადებით, ეს საკმარისი არ არის და კლუბის ამბიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ, რაც იგი ლითონის ერთ-ერთმა გიგანტურმა მწარმოებელმა, ციმბირულმა „ნორილსკ ნიკელმა" მოსკოვის მანქანათმშენებელი ქარხნისგან შეიძინა. კლუბმა საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი წევრი სერგეი ალეინიკოვი მიიწვია. 41 წლის ალეინიკოვის საფეხბურთო კარიერა შთამბეჭდავად გამოიყურება. იგი საბჭოთა კავშირის სახელით გამოდიოდა 1988 წლის ევროპისა და 1986 და 1990 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე. გარდა ამისა, ერთ-ერთი პირველი იყო იმ საბჭოთა ფეხბურთელთაგან, რომელთაც გადალახეს ქვეყნის საზღვარი და ევროპულ კლუბებს მიაშურეს. ალეინიკოვმა რამდენიმე სეზონი გაატარა სერია A-ს კლუბებში, „იუვენტუსსა" და „ლეჩეში", 1991 წელს კი იაპონიის ჯეი-ლიგის კლუბ „ოსაკა გამბას" შეუერთდა. წინა სეზონში ალეინიკოვი „ლეჩეს" ახალგაზრდულ გუნდს წვრთნიდა.

**არგენტინელი** მცველის მარტინ დემიჩელის მიუნხენის „ბაიერნში" გადასვლა მშობლიური „რივერ პლეიტიდან" დღე-დღეზეა მოსალოდნელი. გერმანელთა განცხადებით, 21 წლის დემიჩელი ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს „ბაიერნთან". ტრანსფერის ყველა დეტალს დღევანდელი შეხვედრისას — რომელიც მადრიდში შედგება — დააზუსტებენ, თუმც სატრანსფერო თანხა ალბათ კვლავაც გასაიდუმლოებული დარჩება. „ბაიერნის" მესვეურები იმედოვნებენ, რომ არგენტინელი ზამთრის არდადეგებზე გამოჩნდება მათ ბაზაზე.

**ესპანეთის** მოქმედ ჩემპიონ „ვალენსიას" ტრავმირებულთა სიას ახალი გვარები დაემატა. კლუბის ექიმის ხორდი კანდელის განცხადებით, ნახევარმცველი მიგელ ანხელ ანგულო ხუთი-ექვსი კვირის განმავლობაში ვერ ითამაშებს მუხლზე გაკეთებული ოპერაციის გამო. ანგულომ ტრავმა „ვილიარეალთან" შაბათის შეხვედრისას მიიღო. ორი-სამი კვირით დავიდ ალბელდა, რომელსაც კუნთი გაუწყდა.

**ზამბიისა** და ბოტსვანის ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური შეხვედრისას, რომელიც გასულ შაბათს ქალაქ გაბორონეში გაიმართა, ზამბია პირველად დამარცხდა ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში მასზე 73 საფეხურით უკან მყოფ ბოტსვანასთან. გარდა ამისა, ზამბიელ ფეხბურთელთა შინ მიმავალ ავტობუსს გულშემატკივართა ბრბო დაესხა თავს და ქვები დაუშინა. შედეგად ორი ფეხბურთელი დაშავდა — მცველი იოსეფ მუსონდა და ნახევარმცველი მიშაკ ლუნგუ. ავტობუსის მძღოლმა კი საქარე მინის ჩამტვრევის გამო სახის მძიმე ტრავმა მიიღო.

**პორტუგალიის** პირველი ლიგის მესამეადგილოსანი „გიმარაეშის" ხელმძღვანელ პიმენტა მაშადუს ლისაბონის სასამართლომ ამ დღეებში განაჩენი გამოუტანა. მას მილიონი ევროს გადახდა მოუწევს ფინანსურ მაქინაციებში მხილების გამო. გარდა ამისა, სასამართლოს უნებართვოდ შენგენის ზონის დატოვება ეკრძალება. ამ სანქციის მიზეზი 2000 წლის აგვისტოში განხორციელებული ფერნანდო მეიდას ტრანსფერია, რომლის დროსაც მაშადუმ რიგი დოკუმენტები თავის სასარგებლოდ შეადგინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქმე და სიტყვა

## ბუნდესლიგა, სერია A, პრემიერლიგა, პრიმერადივიზიონი უქმეების მერე



ნიურნბერგელი საშა ჩირიჩი ყველა ლევერკუზენელ ფორვარდზე დიდი ყოფილა

## გერმანია

— ბუნდესლიგის საშინაო მატჩებში მიუნხენის „ბაიერნი" ოცი თვეა, არ დამარცხებულა. მაშინ, 2000-01 წლების სეზონში ბავარიელთა დამარცხება „შალკემ" შეძლო. ამ უქმეებზე კი მათი შეხვედრა გვარიანად მოსაწყენი გამოდგა, ალბათ, იმიტომაც, რომ უამრავი ფეხბურთელი ტრავმის გამო სკამზე იჯდა: სალიჰამიჯიჩი, პიზარო, შოლი, კუფური, სანიოლი, ციკლერი, მჰენზა, აგალი, ჰაიტო, ვალდოხი, ვარელა, ბიომე.

— ბრემენის „ვერდერმა" საკუთარ მოედანზე ზედიზედ მერვედ დაამარცხა მიონხენგლადბახის „ბორუსია".

— „ვერდერმა" პირველ წრეში ათი მატჩი მოიგო. ასეთი შედეგი „მუსიკოსებს" ბოლოს ოტო რეჰაგელის ხელში ჰქონდათ.

— „ჰანოვერი" და „არმინია" ბუნდესლიგაში ერთმანეთს ბოლოს 30 წლის წინ — 1972 წლის 18 მარტს შეხვდნენ და „ჰანოვერმა" გაიმარჯვა. შარშან მათი მეორებუნდესლიგური შეხვედრა 4:4 დასრულდა, ამ უქმეებზე კი უგოლოდ გაიყარნენ. თუმცა ჰანოვერელებმა, ბობიჩმა და კონსტანტინიდისმა ბურთი ორჯერ ხარიხას გაარტყეს.

— დორტმუნდის „ბორუსია" „კოტბუსს" სულ მეხუთედ შეხვდა და მეხუთედ მოუგო. ამასთან 15 გოლი გაუტანა და ერთიც არ გაუშვია. „ბორუსია" ერთადერთი ბუნდესლიგური გუნდია, ვისთვისაც „ენერგეტიკოსებს" ქულაც არასდროს აურთმევიათ.

— მიუნხენის „ბაიერნს" ზედიზედ ხუთ მატჩში გოლს ვერ უტანენ. ოლივერ კანის „მშრალი" სერია უკვე 533 წუთს გრძელდება.

— „მიუნხენ 1860"-ს ბოხუმში არასდროს მოუგია.

— ნიურნბერგელმა ფორვარდმა საშა ჩირიჩმა ამ სეზონში მეათე გოლი გაიტანა, მაშინ როცა „ლევერკუზენის" ყველა თავდამსხმელს ერთად მხოლოდ 8 გოლი აქვთ გატანილი. ამასთანავე, ბაიერელები აქამდე შინ ყოველთვის ამარცხებდნენ „ნიურნბერგს".

— „ლევერკუზენმა" ანტირეკორდიც დაამყარა. გუნდს პირველ წრეში ხუთი საშინაო თამაში აქამდე არასდროს წაეგო.

ფრანკ ნოიბარტი, „შალკეს" მწვრთნელი: გუნდმა უეფას თასიდან გავარდნა სწორად შეაფასა.

პოლ ბრაიტნერი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი: „შალკესთან" ფრის მიუხედავად, ეჭვი აღარ მეპარება — „ბაიერნი" მეთვრამეტე ბუნდესსასალათეს მოიგებს.

თომას შააფი, „ვერდერის" მწვრთნელი: პირველი წრე საოცრად კარგად დავასრულეთ, შვებულებაში დამშვიდებული სინდისით მივდივართ.

ოლივერ კანი, „ბაიერნის" მეკარე: ნუ ცდილობთ სინამდვილის შერბილებას, რაც ჩვენ ვითამაშეთ, განავალი იყო. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ყველა ფეხბურთელს კუჭი ჰქონდა აშლილი.

ჰანს მაიერი, „გლადბახის" მწვრთნელი: ჩვენსა და „ვერდერს" შორის კლასში განსხვავება განსაკუთრებით იმ მომენტებში ჩანდა, როცა გოლებს გვიტანდნენ.

კლაუს ტოპმიოლერი, „ლევერკუზენის" მწვრთნელი: ვეცდებით, მეორე წრეში გულშემატკივრები შემოვირიგოთ.

მათიას ზამერი, „დორტმუნდის" მწვრთნელი (კითხვაზე, ჩემპიონობის მოპოვება უფრო იოლია თუ შენარჩუნება): ერთი ტიტული არ ითვლება...



ოლივერ კანი: უკვე 553

## იტალია

— რომის „ლაციომ" თითქოს შეუძლებელი შესძლო — მიჯრით მეშვიდე გასვლითი შეხვედრა მოიგო, თან ეს ტურინში მოახერხა „იუვენტუსთან", რომელიც პირველად დამარცხდა „დელე ალპიზე" ამ სეზონში და ზედიზედ მეორედ ჩემპიონატში.

— „მილანმა" მოგებათა რაოდენობა ათამდე დაამრგვალა, მათ შორის სტუმრად მესამედ იმარჯვა. ამჯერად „კომოსთან", რომელსაც თავის მხრივ გამარჯვების ლუკმა ჯერ არ დაუღეჭავს.

— „ტორინომ" სეზონში პირველი ფრე გააზერხა და სტუმრად პირველი ქულაც მოიპოვა.

— ამჟამად „კიევოში" მოთამაშე ოლივერ ბირჰოფისთვის „პიაჩენცას" კარში გატანილი გოლი ვერონული კლუბისთვის სერია A-ში მე-100 გამოდგა.

— „რომა" მშობლიურ სტადიონს მიყოლებით 14 ტურია, უგოლოდ არ ტოვებს. ამასთანავე რომაელებმა პირველად მოახერხეს ამ სეზონში საკუთარი კარის მშრალად შენახვა.

— მატჩებში, რომელსაც არბიტრი ფარინა სჯის, სტუმრები იგებენ. ამჯერად მისი სასტვენი „მილანისთვის" აღმოჩნდა ბედნიერი, ხოლო ფარინას კოლეგა ბერტინი უფრო მასპინძლებს წყალობს. წლეულს ბერტინისგან განსჯილ შეხვედრებში სტუმრებს არც ერთხელ არ მოუგიათ. ამჯერად იგი „ინტერი" — „ატალანტას" შეხვედრას მსაჯობდა.

— „ბრეშას" სასარგებლოდ უკვე მეშვიდე პენალტი დანიშნეს. ამ მაჩვენებლით „ბრეშა" მხოლოდ „მილანს" (8) ჩამორჩება. სერია A-ში ორად ორი გუნდი დარჩა, რომელთა კარშიც პენალტი არ დაურტყამთ — „ლაციო" და „მილანი".

რობერტო მანჩინი, „ლაციოს" მწვრთნელი: ბრწყინვალე ბიჭები მყავს. და ეს გამარჯვებაც მათი დამსახურებაა. ძალიან გავიხარეთ და ეს სიხარული დავიმსახურეთ კიდეც. პირველ ტაიმშივე უნდა გადაგვეწყვიტა ყველაფერი, მაგრამ ბუფონი ფანტასტიკური იყო.

მარჩელო ლიპი, „იუვენტუსის" მწვრთნელი: ყველაფერი მარტივადაა. „ლაციომ" ჩვენზე უკეთ ითამაშა. რომაელები უფრო სწრაფნი და მობილიზებულნი იყვნენ, ამიტომაც გამარჯვება დაიმსახურეს. ჩვენ ამ სეზონში ბევრი კარგი მატჩი ვითამაშეთ, სამწუხაროდ, ეს შეხვედრა მათ რიცხვში არ შედის. სირთულეები გვაქვს, თუმცა სატურნირო მდგომარეობაზე არ ვნერვიულობ. ცხადია, უკეთესი იქნებოდა ცხრილში უფრო ზემოთ ვყოფილიყავით. მაგრამ ბოლო სეზონების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველაფერი ბოლო ტურებში წყდება.

## ინგლისი

კევინ კიგანი, „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელი: როდესაც მსაჯი კიდევ ერთხელ ნახავს იმ მომენტს, მიხვდება, რატომ ითხოვდა „სიტის" 4 ათასი გულშემატკივარი პენალტს. თუმცა „ჩარლტონმა" ნამდვილი გამოცდა მოგვიწყო, ასე რომ, საბოლოო ფრე კარგ შედეგად მიმაჩნია.

ალან კერბიშლი, „ჩარლტონის" მწვრთნელი: ზოგჯერ ვალდებული ხარ გუნდი დაამარცხო. ჩვენ კი „სიტის", დამარცხება ვერ მოვახერხეთ. შეგვეძლო ანგარიში 3:0 გაგვეხადა. მაშინ მეტოქეს ველარაფერი იხსნიდა.

გრემ სუნესი, „ბლექბერნის" მწვრთნელი: გრემ ბარბერთან პრობლემები ადრეც გვქონია. მან ლუკას ნეილი ადრეც გაგვიძევა „მიდლსბროსთან" ლიგის თასზე და მაშინ თავად მოუხდა აღიარება, რომ შეცდა. არ ვიცი, შეგნებულად თუ უნებლიეთ, მისტერ ბარბერი მუდამ ზედმეტად მკაცრად გვსჯის.



რობერტო მანჩინიმ ჯანლუიჯი ბუფონს ფანტასტიკური უწოდა

გორდონ სტრაჩანი, „საუთჰემპტონის" მწვრთნელი: ფანტასტიკური თამაში იყო. ორივე გუნდი ბოლომდე იბრძოდა. ბოლოს კი მატჩი კალათბურთს დაემსგავსა — ყველანი წინ, ყველანი უკან. ჩემს გუნდში ბევრი ძალიან კარგი ფეხბურთელი თამაშობს და რაც უფრო ხშირად ითამაშებენ იმგვარად, როგორც დღეს, მით უკეთესი.

გრემ ტეილორი, „ასტონ ვილას" მწვრთნელი: თუ კი ვინმე იმსახურებს ამ სეზონში ბედის წყალობას, ჩემი ბიჭები არიან — ჩვენ 10 კაცით მოვიგეთ. „ვესტ ბრომვიჩმა" კი სტივ სტონტონის გაძევების შემდეგ ერთხელ დაგვირტყა სახიფათოდ და ისიც გაგვიტანა. ასე რომ, ჩვენ გამარჯვება ნამდვილად დავიმსახურეთ.

## ესპანეთი

— ესპანეთის ჩემპიონატის მომდევნო ტური მომავალ უქმეებზე გაიმართება და მერე გუნდები 5 იანვრამდე დაისვენებენ. როგორც არ უნდა დასრულდეს 22 დეკემბრის „უელვა" — „სოსიედადი", ბასკები ახალ წელს პირველ ადგილზე შეხვდებიან.

— ბოლო 25 წელია, გუნდი, რომელიც ზამთრის არდადეგების წინ ცხრილის თავში მოექცევა, სეზონის დასრულებისას ოთხეულში მკვიდრდება, რაც ამჟამად ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებასაც ნიშნავს. გარდა ამისა, „სოსიედადის" მიერ 14 ტურში დაგროვილი 32 ქულა და 26 გატანილი გოლი საუკეთესო შედეგია ბოლო ექვს ჩემპიონატში. ამჟამად მხოლოდ სანსებასტიანელებს არ უგემიათ პრიმერადივიზიონში დამარცხება. ამასთან, „სოსიედადს" 9 თვეა, შინ არ წაუგია.

— ფერნანდო ვასკესის „რაიო ვალეკანომ" იმ „ბეტისს" მოუგო, რომლის მწვრთნელიც წელიწადნახევრის წინ თვითონ ვასკესი გახლდათ.

— სანტანდერში ბოლო 20 სტუმრობისას „სელტას" „რასინგთან" არ უმარჯვია. 20 შეხვედრიდან 18-ში ვიგოელები დამარცხდნენ.

— „ვალიადოლიდმა" ოთხმატჩიანი წაუგებელი სერია, რომლებშიც ერთი გოლიც ვერ გაიტანა, „ბილბაოსთან" მოგებით შეწყვიტა.

— „ბეტისის" ფორვარდმა ალფონსო პერესმა კარიერაში პირველი თერთმეტმეტრიანი დარტყმა გააცუდა.

— ბოლო ხუთ მატჩში „ოსასუნამ" 13 ქულა მოაქუჩა და ოდენ ერთი ფრე ითამაშა. „ესპანიოლთან" მოგება მიჯრით მესამე გამოდგა. თავის მხრივ პამპლონაში ბარსელონელები ტყუილად ჩავიდნენ. „ესპანიოლის" ფეხბურთელებს კარში ერთხელაც არ დაურტყამთ.



ალფონსო პერესმა ცხოვრებაში პირველი პენალტი გააფუჭა

*ფიფამ გადაწყვიტა: 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაისად, 5 დეკემბერს ფრანკფურტში მოეწყობა. შესარჩევი თამაშები 2004 წლის 28 თებერვალს დაიწყება და 2005 წლის 20 ნოემბრისთვის მუნდიალზე წამსვლელი ოცდათორმეტივე გუნდის ვინაობა გარკვეული უნდა იყოს. ფინალისტთა წილისყრა კი 2005 წლის დეკემბერში ლაიფციგში გაიმართება. თავად მსოფლიოს ჩემპიონატს კი, რა შეხსენება უნდა, გერმანია უმასპინძლებს. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მთავარ საკითხზე სამსჯელოდ ფიფას აღმასკომი გუშინ მადრიდში შეიკრიბა და ისტორიული გადაწყვეტილებაც მიიღო.*



ზეპ ბლატერმა ავსტრალიური ფეხბურთის მეთაურ იან ნოპს დაპირება შეუსრულა

# ფიფამ მოიფიქრა

## ევროპის და სამხრეთ ამერიკის წილი ღარიბებს დაუთმო

**სანამ** მთავარ საკითხს გაგაცნობთ, ის ვთქვათ, რატომ გაიმართა სხდომა მადრიდში და არა ფიფას შტაბ-ბინაში, ციურიხში. მოგეხსენებათ, მადრიდის „რეალის" საუკუნოვანი იუბილის აღსანიშნავად „სამეფო კლუბი" დღეს „სანტიაგო ბერნაბეუზე" მსოფლიოს ნაკრებს მასპინძლობს და „რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ყველაფერი იღონა, რათა მსოფლიო ფეხბურთის ცენტრი ამ დღეებში მადრიდში გადაეტანა. ასევე შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელიც გუშინ მადრიდში დაასახელეს.

ახლა კი მთავარი თემა: რამდენ ადგილს მიიღებს მსოფლიოს ჩემპიონატზე თითოეული კონფედერაცია?

მოგეხსენებათ, წინა მუნდიალზე გასანაწილებელი 29 ადგილი იყო — მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთი და მასპინძლები, კორეა და იაპონია შესარჩევი ეტაპიდან გათავისუფლებულები იყვნენ. ახლა კი რა ხდება — მასპინძელი მხოლოდ ერთია, ხოლო ფიფას გადაწყვეტილებით, მსოფლიოს ჩემპიონი (ამ შემთხვევაში ბრაზილია) ამიერიდან სხვებთან ერთად გაივლის კვალიფიკაციას. ანუ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ჩემპიონი მუნდიალს მიღმა დარჩეს. შესაბამისად, წინანდელი სამის ნაცვლად ახლა დაჯავშნული მხოლოდ ერთი ადგილია. რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ ორი გამოთავისუფლებული სამუნდიალო ადგილი ექვს კონფედერაციას შორის უნდა განაწილებულიყო, რაც, ცხადია, მშვიდობიანად ვერ მოხერხდებოდა.

თუმც მაინც მოსალოდნელი იყო, რომ ორიდან ერთი იღბლიანი ადგილის მფლობელი ოკეანეთი იქნებოდა, რომელსაც ერთი, რომ აქამდე ადგილი საერთოდ არ ჰქონდა და სამხრეთ ამერიკის მეხუთე გუნდთან უწევდა გადათამაშება და მეორე ის, რომ ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი, მართალია, მოკრძალებულად, მაგრამ მაინც ოკეანეთის ქომაგია.

და ასეც მოხდა: ოკეანეთმა ადგილი მიიღო. შესაბამისად, სამხრეთ ამერიკას ნახევარი ადგილი ჩამოერთვა. ნახევარი ადგილი დაკარგა ევროპამაც, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკას გადაეცა და ახლა კონკაკაფელთა მეოთხე გუნდი პლეიოფში აზიის მეხუთე გუნდს შეხვდება.

და თუ ძალიან დაგაბნიეთ, ზემოთ თქმულს ქვემოთ უფრო თვალსაჩინო ფორმით წარმოგიდგენთ.

და ერთი საკითხიც. სამხრეთამერიკელები თავის კონფედერაციაში შესარჩევი მატჩების უკვე 2003 წლის აგვისტოდან დაწყებას მოითხოვენ, რაც არანაირად არ შეესაბამება ფიფას მიერ გამოქვეყნებულ, თავში წარმოდგენილ გრაფიკს.

სამხრეთელთა არგუმენტი ასეთია: თუ ვთქვათ, ევროპული ნაკრებები ოდენ რვა შესარჩევ მატჩს მართავენ, ერთ ჯგუფში თავმოყრილ ათ სამხრეთელ გუნდს 18-18 მატჩის თამაში უწევს, რისთვისაც ფიფას შეთავაზებული გრაფიკი მეტისმეტად მჭიდროა. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამხრეთ ამერიკას შესარჩევი ეტაპის წილისყრა საერთოდ არ სჭირდება — ისედაც ყველაფერი ნათელია.

„იმედია, ფიფა სამხრეთამერიკული შესარჩევი სისტემის თავისებურებას გაითვალისწინებს" — განაცხადა მადრიდში ჩასულმა კონფედერაციის პრესატაშემ ნესტორ ბენიტესმა. შეგახსენებთ, რომ კონფედერაციამ წინა კვირაში უარი განაცხადა ერთი ათიანის მაგიერ ორი ხუთ-ხუთ გუნდიანი ჯგუფის შექმნაზე, რაც მატჩების რაოდენობას მკვეთრად შეამცირებდა.

მაგრამ რაოდენ ლოგიკურიც უნდა იყოს სამხრეთელთა მოთხოვნა, საკითხი მათ სასარგებლოდ მარტივად არ გადაწყდება. ევროპელებს თავისი ანგარიში აქვთ. ევროპულ კლუბებს რა ხანია, თავის ტკივილად ქცევიათ ბევრ კონტინენტზე გაბნეული უთვალავი სამხრეთელი ვარსკვლავის სანაკრებო მივლინებები, საიდანაც ისინი დაღლილები და დაშავებულები ბრუნდებიან. ჰოდა, ამის გამო ცდილობენ, უეფას ხელით, ფიფამ სამხრეთული კონფედერაცია ორი ხუთგუნდა ჯგუფის შექმნაზე დაითანხმოს. ბოლოს და ბოლოს, ამ სისტემით ოკეანისგალმელებმა ხომ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ჩაატარეს.

ამ საკითხზე ფიფას გადაწყვეტილებას მოგვიანებით შევიტყობთ.

**გიორგი დარჯანია**

### სამუნდიალოდ ადგილები ასე განაწილდა

| | 2002 | 2006 |
|---|---|---|
| ევროპა | 13,5+ჩემპიონი | 13 + მასპინძელი |
| აზია | 2,5+2 მასპინძელი | 4,5 |
| აფრიკა | 5 | 5 |
| ს. ამერიკა | 4,5 | 4 |
| კონკაკაფი | 3 | 3,5 |
| ოკეანეთი | 0,5 | 1 |

# მთავარია გაგება და ფული

### ამხანაგური საქველმოქმედო მატჩი

**გერმანია 4:2 ბუნდესლიგის ლეგიონერები**

1:0 იერემისი (22), 1:1 მარსელინიო (48), 2:1 კლოზე (63), 2:2 კოლერი (67), 3:2, 4:2 ლაუტი (68, 90)

**გერმანია:** კანი (ლემანი 46), ფრიდრიხი (რემერი 46), ფ. ბაუმანი, ვიორნსი, ბ. შნაიდერი, ბალიტში (კელი 46), იერემისი (ფრინგსი 46; ბალიტში 77), ციგე (რაუ 46), ბალაკი (ფრაიერი 46), ბობიჩი (კლოზე 46), ნოივილი (ლაუტი 46)

**მწვრთნელი:** რუდი ფიოლერი

**ლეგიონერები:** კირალი (პიპლიცა 46), იუჟფალუში, შტრასერი, ვერლაატი (ვან ჰოოგდალემი 46), კოლდინგი, ბაშთურქი (მუტკოვიჩი 46), პოულსენი (მეირა 46), ბალაკოვი (მარსელინიო 46), მანინი (იაროლიმი 46), სანდი (ვიშნიარეკი 46), აილტონი (კოლერი 46)

**მწვრთნელი:** ჰუუბ სტევენსი

**მსაჯი:** ჰელმუტ კრუგი

36 200 მაყურებელი

**მიზეზი** სამწუხარო და კეთილშობილური, შოუ ბრწყინვალე, ფული ბლომად, ვარჯიში ვარჯიშად — გერმანიისა და ბუნდესლიგის ლეგიონერთა ნაკრებების საქველმოქმედო მატჩზე მოგახსენებთ.

ზაფხულში წყალდიდობამ ნახევარი ევროპა რომ წალეკა, იქაური მთავრობები დაზარალებულებს, ცხადია, უმალ დაეხმარნენ, მაგრამ დამატებითი დახმარება ზედმეტი როდის ყოფილა, ჰოდა, ამ მატჩის მთელი შემოსავალი — 3,5 მილიონი ევრო საგანგებო ფონდში გადაირიცხა. დავაზუსტოდ: მართლა გადაირიცხა და არა ისე, ჩვენთან რომ დაეხმარნენ მეწისქვრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილებს.

დიდებული სტადიონია გელზენკირხენის „აუფშალკე" და წარმოდგენაც დიდებულად დაიწყო. არენა ჩაბნელდა, მაგრამ „აუფშალკე" თბილისური „ლოკომოტივი" არაა, ანუ იმიტომ ჩააბნელეს, ნაირფერად რომ გაენათებინათ. გვირაბიდან გამოვარდნილ ბოლს კი ფეხბურთელები სათითაოდ გამოჰყვნენ და თითოეულის გვარის გამოცხადებას გვარიანი ტაში მოჰყვა. ბარემ აქვე აღვნიშნოთ, რომ ლეგიონერთა ნაკრებს ტრავმების გამო „ბაიერნის" ბრაზილიელი ჯოვანი ელბერი, მისი ლევერკუზენელი თანამემამულე ლუსიო და „დორტმუნდის" ჩეხი გამთამაშებელი ტომაშ როსიცკი აკლდნენ. და ერთიც, თამაშმა, ცხადია, ხალისიანად, წიხლაობის და ზედმეტი ნერვიულობის გარეშე ჩაიარა. „შედეგს მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარია, რომ დაზარალებულებს რაღაცით დავეხმარეთ" — თქვა ნამატჩევს გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა რუდი ფიოლერმა ლეგიონერებს კი ჰოლანდიელი ჰუუბ სტევენსი თავკაცობდა.

თავი გამოიჩინა 21 წლის მიუნხენელმა ფორვარდმა ბენჯამინ ლაუტმა, ვინაც შეცვლაზე შევიდა და ორი გოლი გაუტანა ლეგიონერებს. ეს ფეხბურთელი ჯერაც პირველი ოფიციალური სანაკრებო კეპის მოლოდინშია. სხვა „გერმანული" გოლები კი იენს იერემისმა და მიროსლავ კლოზემ მიითვალეს.

მეტოქე ბანაკიდან „ჰერტას" ბრაზილიელმა ნახევარმცველმა მარსელინიომ და დორტმუნდელთა ახმახმა ჩეხმა იან კოლერმა დალაშქრეს პირობით მასპინძელთა კარი.

**ირაკლი ნინიძე**



REUTERS

ბერნდ შნაიდერმა ლეგიონერთა მეკარე ტომისლავ პიპლიცას სასიკეთოდ შეუტია


სამკურნალო გაერთიანება

„ლიგა"

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი) წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15


# საქართველოს ასეთი შვეიცარიაც ეყო

**საქართველოს** მეტოქე, შვეიცარიის ეროვნული გუნდის მწვრთნელი იაკობ კუნი ადგილობრივი ფეხბურთის პრობლემებს რომ ჩაუღრმავდა, აღმოაჩინა, რომ ყველაფრის თავი და თავი შვეიცარიაში უცხოელი ფეხბურთელების მომრავლება ყოფილა. კლუბში უცხოელების ლიმიტი ორით მაინც რომ შეგვამცირებინა, ეს ათი-ოცი შვეიცარიელი ფეხბურთელის წინ წამოწევას მაინც უდრისო, განაცხადა კუნმა.

ამჟამად შვეიცარიული კლუბებს 7 უცხოელის ყოლა შეუძლიათ, მათგან 5 ფეხბურთელისა მოედანზე.

ნაკრების მწვრთნელის აზრით, უცხოელთა რიცხვის სულ მცირე ორით შემცირება, თუ ლეგალურად, კანონის მიხედვით არ გამოვა, კლუბებმა ადგილობრივი ფეხბურთის განვითარებისთვის მაინც უნდა თქვან უარი ბევრ უცხოელზე. არადა, შვეიცარია, ევროპაში არაევროკავშირული ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც უცხოელებზე (დასავლეთევროპელებზეც) ლიმიტი აქვს დაწესებული.

ეროვნული ლიგის დირექტორ ედმონ აიზორის თქმით, ლიგაში უცხოელების მომრავლება, ან შემცირება შვეიცარიის შიდა საქმეა. ცნობისთვის, უცხოელთა რაოდენობის ლიმიტი ქვეყანაში 1996-97 წლების სეზონიდან მოქმედებს.



იაკობ კუნი

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

**ინგლისი. პრემიერლიგა. XIX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 001 | არსენალი-მიდლსბრო | 1,35 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,57 |
| | 002 | არსენალი-მიდლსბრო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 003 | ბირმინგემი-ჩარლტონი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 004 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 005 | ჩელსი-ასტონ ვილა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 | | | |
| 19.00 | 006 | ლიდსი-საუთჰემპტონი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 007 | ნიუკასლი-ფულემი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 008 | ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 009 | ვესტ ჰემი-ბოლტონი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 010 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 3,6 | 3,1 | 1,95 | 1,66 | 1,26 | 1,19 |
| 20.05 | 011 | ლივერპული-ევერტონი | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| | | **23 დეკემბერი** | | | | | | |
| 24.00 | 012 | სიტი-ტოტენჰემი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |

**ინგლისი. I დივიზიონი. XXIV ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 013 | ბრაიტონი-ლესტერი | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 014 | ჯილინგემი-ბარნლი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 19.00 | 015 | გრიმსბი-უიმბლი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 016 | მილუოლი-ვულვერჰემპტონი | 2,8 | 3,1 | 2,35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |
| 19.00 | 017 | ნორვიჩი-უოლსოლი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 018 | ნოტინგემი-რედინგი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 019 | პორტსმუთი-იფსვიჩი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 020 | შეფილდი-პრესტონი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 19.00 | 021 | უოტფორდი-ბრედფორდი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 022 | უიმბლდონი-სტოკი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 21.35 | 023 | ქოვენტრი-დერბი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 16.05 | 024 | როტერჰემი-კრისტალ პალასი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |

**ინგლისი. II დივიზიონი. XXII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 025 | სტოკპორტი-ნორთჰემპტონი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 026 | ბარნსლი-მენსფილდი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 027 | ბლეკპული-პიტერბორო | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 028 | ბრისტოლი-ლუტონი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 029 | ჩელტნემი-უიგანი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 19.00 | 030 | ჩესტერფილდი-ოლდემი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 031 | კოლჩესტერი-კარდიფი | 4,0 | 3,1 | 1,85 | 1,74 | 1,26 | 1,15 |
| 19.00 | 032 | პორტ ვეილი-პლიმუთი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 033 | ქუინზ პარკ-ბრენტფორდი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 034 | სუინდონი-ქრიუ | 3,0 | 3,1 | 2,25 | 1,52 | 1,28 | 1,3 |
| 19.00 | 035 | ტრანმერი-ნოტსი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 19.00 | 036 | უიგანი-ჰადერსფილდი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 037 | უიგანი-ჰადერსფილდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |

**ინგლისი. III დივიზიონი. XXII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 038 | იორკი-ლინკოლნი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 039 | ბოსტონი-შრუსბერი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 19.00 | 040 | ბორნმუთი-ბური | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| 19.00 | 041 | ბერი-როჩდეილი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 042 | კემბრიჯი-რაშდენი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 043 | დარლინგტონი-მაკლსფილდი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 19.00 | 044 | ჰარტლპული-სკანთორპი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.00 | 045 | ოქსფორდი-ექსეტერი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 046 | რაშდენი-კარლაილი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 047 | რაშდენი-კარლაილი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 048 | სუონსი-ლეიტონი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 049 | ტორკი-საუთენდი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 050 | რექსემი-კიდერმინსტერი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |

**იტალია. სერია "A". გადადებული მატჩი.**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 051 | კომო-უდინეზე | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |

**იტალია. სერია "A". XV ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 052 | მოდენა-უდინეზე | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 23.30 | 053 | ტორინო-რომა | 3,6 | 3,1 | 1,95 | 1,66 | 1,26 | 1,19 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 054 | ატალანტა-ემპოლი | 2,05 | 3,0 | 3,5 | 1,21 | 1,29 | 1,61 |
| 18.00 | 055 | კიევო-კომო | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 056 | კიევო-კომო 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 18.00 | 057 | ლაციო-ბოლონია | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| 18.00 | 058 | მილანი-ბრეშა | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 059 | მილანი-ბრეშა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 18.00 | 060 | პერუჯა-იუვენტუსი | 4,2 | 3,1 | 1,8 | 1,78 | 1,25 | 1,13 |
| 18.00 | 061 | რეჯინა-პიაჩენცა | 2,05 | 2,9 | 3,6 | 1,2 | 1,3 | 1,6 |
| 23.30 | 062 | პარმა-ინტერი | 2,9 | 2,9 | 2,4 | 1,45 | 1,31 | 1,31 |

**იტალია. სერია "B". XVII ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 063 | კატანია-ტერნანა | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 23.30 | 064 | ანკონა-ლეჩე | 2,4 | 2,5 | 3,3 | 1,22 | 1,38 | 1,42 |
| 23.30 | 065 | ნაპოლი-ვენეცია | 2,15 | 2,8 | 3,5 | 1,21 | 1,33 | 1,55 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 066 | ბარი-ლივორნო | 2,2 | 2,7 | 3,5 | 1,21 | 1,35 | 1,52 |
| 18.00 | 067 | კოზენცა-სალერნიტანა | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 18.00 | 068 | პალერმო-ასკოლი | 1,7 | 2,9 | 5,3 | 1,07 | 1,28 | 1,87 |
| 18.00 | 069 | სამპდორია-ვერონა | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 18.00 | 070 | სიენა-ჯენოა | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| 18.00 | 071 | ტრიესტინა-მესინა | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1,07 | 1,31 | 1,83 |
| 18.00 | 072 | ვიჩენცა-კალიარი | 2,3 | 2,6 | 3,4 | 1,22 | 1,37 | 1,47 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. XV ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 093 | ატლეტიკო-რასინგი | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 23.00 | 094 | ბილბაო-ალავესი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 23.00 | 095 | მალაგა-რეალი | 3,6 | 3,0 | 2,0 | 1,63 | 1,28 | 1,2 |
| 24.00 | 096 | სელტა-ვილიარეალი | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 24.00 | 097 | რაიო-სევილია | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 00.30 | 098 | მალიორკა-ბარსელონა | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 099 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 20.00 | 100 | უელვა-სოსიედადი | 3,5 | 3,1 | 2,0 | 1,64 | 1,27 | 1,21 |
| 20.00 | 101 | ბეტისი-ოსასუნა | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.30 | 102 | ვალენსია-დეპორტივო | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. XVI ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 103 | ფეროლი-ეიბარი | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 21.00 | 104 | ოვიედო-ლეგანესი | 2,05 | 2,9 | 3,6 | 1,2 | 1,3 | 1,6 |
| 21.30 | 105 | კომპოსტელა-ალბასეტე | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 21.30 | 106 | ალმერია-ელჩე | 2,45 | 2,8 | 2,9 | 1,3 | 1,32 | 1,42 |
| 22.30 | 107 | მურსია-კორდობა | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,26 | 2,04 |
| 23.30 | 108 | ტერასა-ბადახოსი | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 24.00 | 109 | ტენერიფე-სალამანკა | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 14.30 | 110 | ხეტაფე-სპორტინგი | 2,05 | 2,9 | 3,6 | 1,2 | 1,3 | 1,6 |
| 15.00 | 111 | ლევანტე-ლას პალმასი | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |
| 20.00 | 112 | ეიბარი-ნუმანსია | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 20.00 | 113 | სარაგოსა-ხერესი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |

**საფრანგეთი**

**I დივიზიონი. XX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 114 | პსჟ-ბორდო | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 115 | სოშო-ლანსი | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 23.30 | 116 | გენგამი-აიაჩო | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.30 | 117 | მონპელიე-ოსერი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 23.30 | 118 | ლილი-ლე ავრი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 23.30 | 119 | სედანი-ლიონი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| 23.30 | 120 | მარსელი-მონაკო | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,18 | 1,28 | 1,67 |
| 23.30 | 121 | ბასტია-ნანტი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 23.30 | 122 | სტრასბური-ნიცა | 2,25 | 2,9 | 3,2 | 1,26 | 1,32 | 1,52 |
| 23.30 | 123 | ტრუა-რენი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. XIX ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 124 | ლე მანი-გრენობლი | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| 23.00 | 125 | ვასკეალი-შატორუ | 2,3 | 2,8 | 3,2 | 1,26 | 1,33 | 1,49 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 126 | კრეტეი-კანი | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1,07 | 1,31 | 1,83 |
| 23.30 | 127 | ბოვე-ნანსი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.30 | 128 | ისტრი-გენიონი | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |
| 23.30 | 129 | ლორიანი-ვალანსი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.30 | 130 | მეცი-ამიენი | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,26 | 2,04 |
| 23.30 | 131 | ნიორი-ლავალი | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 23.30 | 132 | სენტ-ეტიენი-კლერმონი | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 23.30 | 133 | ტულუზი-რეიმსი | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,02 | 1,2 | 2,33 |
| | 134 | ტულუზი-რეიმსი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |

**პორტუგალია. I ლიგა. XV ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 135 | ბელენენსეში-ლეირია | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 01.00 | 136 | ბოავიშტა-ბენფიკა | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 137 | მორეირენსე-სანტა კლარა | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 20.00 | 138 | ჟილ ვისენტე-ბეირა მარი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 20.00 | 139 | ბრაგა-სეტუბალი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 20.00 | 140 | ფერეირა-აკადემიკა | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 23.00 | 141 | ვარზიმი-პორტუ | 3,3 | 3,1 | 2,1 | 1,59 | 1,28 | 1,25 |
| 01.00 | 142 | სპორტინგი-ნასიონალი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 143 | სპორტინგი-ნასიონალი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| | | **23 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 144 | გიმარაეში-მარიტიმუ | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |

**პორტუგალია. II ლიგა. XV ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 145 | სალგეიროში-მარკუ | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 146 | ალვერკა-ავეში | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 19.00 | 147 | შავეში-ოვარენსე | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,18 | 1,28 | 1,67 |
| 19.00 | 148 | ფარენსე-რიუ ავე | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 19.00 | 149 | ლეიშოეში-პენაფიელი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 19.00 | 150 | მალეირა-ფელგეირაში | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 19.30 | 151 | ნავალი-კოვილია | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 20.00 | 152 | ამადორა-ლეცა | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 20.00 | 153 | მაია-პორტიმონენსე | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი.**

**18 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 155 | ალკმაარი-ბრედა | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 23.00 | 156 | ვიტესი-ექსცელსიორი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 23.00 | 157 | ჰერენვენი-ზვოლე | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |

**ბელგია**

**I დივიზიონი. XVII ტური**

**21 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 180 | გენტი-გენკი | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |
| 23.00 | 181 | მუსკრონი-მეხელენი | 1,15 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,01 | 3,21 |
| 23.00 | 182 | შარლერუა-ვესტერლო | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 23.00 | 183 | ანდერლეხტი-ბევერენი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | 184 | ანდერლეხტი-ბევერენი 0:1 | 1,35 | 3,6 | 4,0 | | | |
| 23.00 | 185 | ბრიუგე-ლომელი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| | 186 | ბრიუგე-ლომელი 0:1 | 1,25 | 4,0 | 4,7 | | | |
| 23.00 | 187 | ლიერსი-ბეერსხოტი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 23.00 | 188 | სტ.ტრუიდენი-ლოკერენი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 23.00 | 189 | მონსი-ლუვიე | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 190 | ანტვერპენი-სტანდარდი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |

**თურქეთი. XVIII ტური**

**21 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 213 | ადანა-ისთანბული | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 21.00 | 214 | ბეშიქთაში-ბურსა | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| | 215 | ბეშიქთაში-ბურსა 0:1 | 1,25 | 4,0 | 4,7 | | | |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 216 | მალათია-ანკარაგუჯუ | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 15.30 | 217 | ალთაი-დიარბაქირი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 15.30 | 218 | დენიზლი-გაზიანთეპი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 15.30 | 219 | ელაზიგი-გოზთეპე | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 15.30 | 220 | გენჩლერი-ქოჯაელი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 221 | გენჩლერი-ქოჯაელი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 18.30 | 222 | სამსუნი-გალათასარაი | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2,02 | 1,21 | 1,08 |
| 21.00 | 223 | ფენერბაჩე-ტრაბზონი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |

**შოტლანდიის პრემიერლიგა. XXI ტური**

**21 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 224 | აბერდინი-ლივინგსტონი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 225 | სელტიკი-დანდი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 226 | სელტიკი-დანდი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 19.00 | 227 | დანდი იუნაიტედი-ჰარტსი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 228 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 19.00 | 229 | მაზერველი-დანფერმლაინი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 230 | პარტიკი-რეინჯერსი | 7,5 | 4,0 | 1,35 | 2,6 | 1,14 | 1 |

**ინგლისი. თასი. II ეტაპი.**

**19 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 254 | კარლაილი-სკანთორპი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |

**ინგლისი. ლიგის თასი. 1/4 ფინალი.**

**18 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 258 | ასტონ ვილა-ლივერპული | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |

**იტალია. თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები.**

**18 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 260 | ბოლონია-ვიჩენცა | 1,3 | 4,2 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,86 |
| 20.30 | 261 | იუვენტუსი-რეჯინა | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 20.30 | 262 | კიევო-პიაჩენცა | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 24.00 | 263 | მილანი-ანკონა | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 264 | პერუჯა-სამპდორია | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 20.30 | 265 | ემპოლი-ლაციო | 2,7 | 3,0 | 2,45 | 1,42 | 1,28 | 1,34 |
| 24.00 | 266 | ინტერი-ბარი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |

**პორტუგალია. თასი. V ეტაპი**

**18 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 268 | გოლეგა-მაიაველენსე | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 18.30 | 269 | სანტა კლარა-ესპინიუ | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 19.00 | 270 | რიუ ავე-ფრეამუნდე | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 19.00 | 271 | ლეირია-ლუზიტანო | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| 19.00 | 272 | შავეში-ნაციონალი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 20.00 | 273 | მარკუ-კოვილია | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 20.00 | 274 | ნავალი-ბრაგა | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 20.00 | 275 | ბარელუში-ვიმარაეში | 7,5 | 4,0 | 1,35 | 2,6 | 1,14 | 1 |
| 00.30 | 276 | სპორტინგი-პორტიმონენსე | 1,05 | 8,0 | 16,0 | 1 | 1 | 5,33 |

**ბელგია. თასი. 1/8 ფინალი**

**18 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 278 | სტ.ტრუიდენი-ლიერსი | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,17 | 1,19 | 1,74 |
| 23.00 | 279 | ბრიუგე-ბოხოლტერი | 1,01 | 10,0 | 20,0 | 1 | 1 | 6,66 |
| 23.00 | 280 | სტანდარდი-შარლერუა | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 23.00 | 281 | ლომელი-მუსკრონი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |
| 23.30 | 282 | ანდერლეხტი-ტურნჰაუტი | 1,03 | 9,0 | 18,0 | 1 | 1 | 6 |
| 23.30 | 283 | გენკი-ლუვიე | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 23.30 | 284 | ბეერსხოტი-ვესტერლო | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |

**საბერძნეთი. თასი**

**1/8 ფინალი. I მატჩები.**

**18 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 285 | პანიონიოსი-იონიკოსი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 21.00 | 286 | აგროტიკოსი-პანათინაიკოსი | 5,6 | 3,4 | 1,55 | 2,11 | 1,21 | 1,06 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 287 | პაოკ-ოფი | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| 21.00 | 288 | აეკ-აპოლონი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |

**თურქეთი. თასი. 1/8 ფინალი.**

**18 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 289 | კონია-ქოჯაელი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 15.00 | 290 | დიარბაქირი-ანკარა | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 15.00 | 291 | გენჩლერბირლიგი-გოზთეპე | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 15.00 | 292 | მალათია-ურფა | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
| 15.00 | 293 | რიზე-სამსუნი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 15.00 | 294 | ტრაბზონი-სივასი | 1,15 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,03 | 3,58 |
| 19.30 | 295 | დენიზლი-ბეშიქთაში | 3,8 | 3,3 | 1,8 | 1,76 | 1,22 | 1,16 |
| 22.00 | 296 | გალათასარაი-ანკარაგუჯუ | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |

**ჰოკეი. გერმანია**

**19 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 618 | დიუსელდორფი-ფრანკფურტი | 1,5 | 4,2 | 3,8 | 1,1 | 1,07 | 1,99 |
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 619 | ჰანოვერი-კასელი | 2,15 | 4,0 | 2,3 | 1,39 | 1,11 | 1,46 |
| 22.30 | 620 | ბერლინი-ინგოლშტადტი | 1,6 | 4,2 | 3,3 | 1,15 | 1,07 | 1,84 |
| 22.30 | 621 | აისბერენი-კიოლნი | 1,95 | 4,0 | 2,5 | 1,31 | 1,09 | 1,53 |
| 22.30 | 622 | ჰამბურგი-მანჰაიმი | 2,3 | 4,0 | 2,15 | 1,46 | 1,11 | 1,39 |
| 23.00 | 623 | კრეფელდი-აუგსბურგი | 1,5 | 4,2 | 3,8 | 1,1 | 1,07 | 1,99 |
| 23.00 | 624 | შვენინგი-ნიურნბერგი | 2,6 | 4,0 | 1,9 | 1,57 | 1,09 | 1,28 |

**კალათბურთი. ევროლიგა.**

**18 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 720 | შლიონსკი-ვილეურბანი | 2,0 | 12,0 | 1,6 | 1,71 | 1 | 1,41 |
| 21.30 | 721 | ულკერი-ოლიმპიაკოსი | 1,55 | 12,0 | 2,1 | 1,37 | 1 | 1,78 |
| 22.30 | 722 | პარტიზანი-ცსკა | 2,2 | 12,0 | 1,5 | 1,85 | 1 | 1,33 |
| 23.00 | 723 | პანათინაიკოსი-ჟალგირისი | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| 23.30 | 724 | უნიკახა-ბუდუჩნოსტი | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| 23.30 | 725 | კინდერი-რეალი | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |
| 23.30 | 726 | ბარსელონა-აეკ | 1,1 | 12,0 | 5,0 | 1 | 1 | 3,52 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 727 | სიენა-მაკაბი | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |
| 23.30 | 728 | ალბა-სკიპერი | 1,9 | 12,0 | 1,7 | 1,64 | 1 | 1,48 |
| 23.30 | 729 | ციბონა-პო ორტეზი | 1,35 | 12,0 | 2,5 | 1,21 | 1 | 2,06 |
| 23.30 | 730 | ბენეტონი-ეფესი | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| 23.30 | 731 | ტაუ-ოლიმპია | 1,35 | 12,0 | 2,5 | 1,21 | 1 | 2,06 |

**კალათბურთი. ულების თასი**

**18 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 742 | შარლერუა-ვარეზე | 2,2 | 12,0 | 1,5 | 1,85 | 1 | 1,33 |
| 23.00 | 743 | სკაილაინერსი-პივოვარნა | 1,7 | 12,0 | 1,9 | 1,48 | 1 | 1,64 |

**I ტაიმის შედეგი**

**18 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 2001 | კომო-უდინეზე | 3,0 | 2,0 | 3,3 | 1,2 | 1,57 | 1,24 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **18 დეკემბერი** | | | |
| 23.30 | 2501 | კომო-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

18 დეკემბერი

23.30 2401 კომო-უდინეზე ---------------------- 1,85 ---------------------- 1,95

**რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო)**
**(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

18 დეკემბერი

23.30 2201 კომო-უდინეზე ---------------------- 1,8 ---------------------- 1,8

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს**
**(ძირითადი დრო)**

---------------------- კი ---------------------- არა

18 დეკემბერი

23.30 2301 კომო-უდინეზე ---------------------- 1,7 ---------------------- 1,9

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **18 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 23.30 | 2101 კომო-უდინეზე | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

**ტურში გატანილი გოლების რაოდენობა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.12 19.00 | 2601 | ინგლისი პლ. (XIX ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 21.12 21.00 | 2602 | იტალია "A" (XV ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 21.12 21.00 | 2603 | ესპანეთი Iდ. (XV ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 21.12 22.00 | 2604 | პორტუგალია Iლ. (XV ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 21.12 23.00 | 2605 | ბელგია Iდ. (XVII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 21.12 15.30 | 2606 | თურქეთი. (XVIII ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |


სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1 კორპუსი

კროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30


**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 30 დეკემბრიდან „კროკოში" საშობაო-საახალწლო შესვენებაა, მუშაობა 8 იანვარს განახლდება


სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I° კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქ №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## საქართველოს ჩემპიონატი

17 დეკემბერი, რუსთავი

**აზოტი 77:80 სტუ**

FIBA-Europe CHALLENGE CUP



ბაქოელებს თბილისში არმენ ოგანესიანი დაუხვდებათ

# დღეს დინამო მოიგებს

**დღეს თბილისის „დინამო" „ჩელენჯ ქაფის" A ჯგუფში ბოლო მატჩს გამართავს. ქართული კლუბის მეტოქე აზერბაიჯანული „ნეფტ დევონია" და ეს შეხვედრა შემდეგ ეტაპზე გამსვლელთა ვინაობას ოფიციალურად გაამყარებს**

ოფიციალურად იმიტომ, რომ სამგუნდა ჯგუფიდან გამსვლელი 2 კლუბი, ასე ვთქვათ, ტურნირის დაწყებამდე იყო ცნობილი. სავარაუდო იყო, რომ ბაქოელები უკრაინულ იუჟნის „ხიმიკსა" და თბილისის „დინამოს" ჯგუფიდან გასვლაში ვერ შეეცილებოდნენ და ასეც მოხდა. აზერბაიჯანელებმა ყველა შეხვედრა დიდი ანგარიშით წააგეს და დღესაც ალბათ დიდსხვაობიანი მარცხი არ ასცდებათ თბილისელთაგან.

ერთი სიტყვით, ამ მატჩს ილუზორული ინტრიგა აქვს — თუ ნეფტ-ს „ჩელენჯ ქაფის" საუკეთესო 8 გუნდში გარევა სურს, დინამოელები ვერის ბაღში სულ ცოტა, 34 ქულით უნდა დაამარცხოს. ასეთი სხვაობით გაანადგურეს საქართველოს ვიცე-ჩემპიონებმა ნეფტ ბაქოში და სასწაული უნდა მოხდეს, შინაურ კედლებში ვერ იმარჯვონ.

მოკლედ, „დინამო" დღეს მოუგებს ნეფტ-ს და მეოთხედფინალისთვის მოემზადება, რომელიც პლეი ოფის სისტემით ჩატარდება. ვინ იქნება თბილისელთა მეტოქე მომავალ ორრაუნდიან შეხლაში, თითქმის აქედანვეა ცნობილი. როგორც „ჩელენჯ ქაფის" უფროსობამ „დინამოს" ხელმძღვანელობას შეატყობინა, კენჭისყრა არ მოეწყობა და გუნდები რეგიონული პრინციპით დაწყვილდებიან. ასეთ შემთხვევაში კი თბილისელებს ალბათ უკრაინულ „აზოვმაშს" შეახვედრებენ, რადგან დინამოელთა თანაჯგუფელ იუჟნის „ხიმიკთან" ერთად მხოლოდ ეს გუნდია პოსტსაბჭოური სივრციდან — დანარჩენები სკანდინავიური და ძირითადად აღმოსავლეთევროპული კლუბებია.

დღევანდელი მატჩი ვერის ბაღში 16 საათზე დაიწყება. თბილი კასპიისპირეთიდან თოვლიან თბილისში ბაქოელები გუშინ ნაშუადღევს ჩამოვიდნენ და გუშინვე, საღამოს 6 საათზე ივარჯიშეს.

სამწუხაროდ თბილისელთა ერთადერთი დანაკლისი ლიტველი ტომას ვენსკუნასია, რომელიც სამკურნალოდ სამშობლოში იყო და თბილისში გუშინ ჩამოვიდა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხიმიკი | 4 | 4 | 0 | +134 | 8 |
| დინამო | 3 | 1 | 2 | +19 | 4 |
| ნეფტ | 3 | 0 | 3 | -153 | 3 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ცქიტიშვილი წყალქვეშა ნავში

16 დეკემბერი

**მაიამი 100:105 ჰიუსტონი**
ძირითადი დრო 91:91
**მაიამი:** ბუტჩი (13), ჯონსი (32 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი, 6 ჩაჭრა), კ. ბატლერი (18), ალენი (10), გრანტი (16); სტოუდამაირი (17 წუთი, 6 ქულა, 4 მოხსნა), ჯეიმსი (3), რ. ბატლერი (2), ელისი
**ჰიუსტონი:** ფრენსისი (21), მობლი (27), რაისი (6), გრიფინი (6), მინგი (16 ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება); გრიფინი (15), ნორისი (4), კატო (2), პოკინსი

**ფილადელფია 93:71 დენვერი**
**ფილადელფია:** სნოუ (6), აივერსონი (23), მაკკი (8), ვან ჰორნი (15), მაკალოუ (13); სკოტი (11), ბაკნერი (10), ლონგი (3), რუნციმანი (3), კოულმანი (1)
**დენვერი:** ვაიტი, ჰოუზი (11), ბოუენი (2), ჰოვარდი (12), ბლეიქი (2); ილარიო (23), ჰარპერი (11), ვაიტი (4), სამერფილდი (2), ჰარინგტონი (2), ცქიტიშვილი (15 წუთი, 2 პასი, 1 დაფარება)

**ჩიკაგო 94:83 ბოსტონი**
**ჩიკაგო:** როუზი (24), ფიზერი (20)
**ბოსტონი:** პირსი (37)

**კლიპერსი 91:79 სან ანტონიო**
**კლიპერსი:** რიჩარდსონი (21)
**სან ანტონიო:** დანკანი (32)

**კლივლენდი 98:111 სიეტლი**
**კლივლენდი:** დევისი (20), ჯონსი (19)
**სიეტლი:** ლუისი (29), პეიტონი (23)

**ფინიქსი 87:84 ორლანდო**
**ფინიქსი:** მარბერი (19), ჰარდევეი (16)
**ორლანდო:** გარიტი (21)

**მემფისი 104:91 გოლდენ სტეიტი**
**მემფისი:** გასოლი (18), გირიჩეკი (18)
**გოლდენ სტეიტი:** ჯემისონი (19)

2002-03 წლების სეზონის პირველმა შვიდმა კვირამ გაიარა და ახლა, როცა ენთუზიაზმი მეტი გასაქანი ხარჯზე მიეცა, ყველაფერი და ყველა გუნდი „თავ-თავიანთ" ადგილზე დალაგდა. თავის ადგილზე დგას ნიკა ცქიტიშვილის „დენვერ ნაგეტსიც". წლევანდელი სეზონის ყველაზე სუსტშემადგენლობიანი გუნდი გარკვეულ ხანს ახერხებდა ცხრილში ვიღაცეებზე ზემოთ ტივტივს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მოსახდენი მოხდა, ერთ-ერთი რიგითი მარცხის შემდეგ კოლორადოელები ფსკერზე დაეშვნენ.

16 დეკემბერს „დენვერის" თანადივიზიონელმა „მემფისმა" „გოლდენ სტეიტს" მოუგო, 19 მარცხის წინ შვიდი გამარჯვებით ლიდერობს და ექსმეგობარ „ნაგეტსს" თავისი ადგილი დაუთმო, როგორც შუა დასავლეთის დივიზიონის, ასევე დასავლეთ კონფერენციის ცხრილის ძირზე ეს იყო „დენვერის" ადგილი სეზონის დასაწყისში, მაგრამ მაშინ მათ გამოსავლად შეგეძლოთ კონტრაქციის შემთხვევაში, თუ ცქიტიშვილის გუნდი უკვე პოზიცია დაასრულებს რეგულარულ ჩემპიონატს.

16 დეკემბერს ჯერ ბზელიკის ბიჭებმა ერთ ლუკმად ყლაპეს მშიერ „ფილადელფიას". ალენ აივერსონის გუნდს სწორედ ისეთი მეტოქე სჭირდებოდა, ვისაც უმრავლესად მოუგებდა. „ფილადელფიამ" წინა ხუთი შეხვედრა წააგო და ამ მარცხების პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო ლიდერმა აივერსონმა. „ვფიქრობ, რომ ამჟამად მე ვარ გუნდის პრობლემა, იგი მხოლოდ ჩემი შეცდომების გამო აგებს". აივერსონი ცდილობდა გუნდელებისთვის გამოესწორებინა საქმე როგორც მან წააგებულ თამაშებში უთვალავი გაორმაგებული სროლით გააფუჭა თუმც აივერსონს არაფრით დაემტკიცება, რომ გამარჯვებული გასწორება არა მარტო სიტყვებით, საქმითაც იცის და პირობა დადო, „ფილადელფიამ" „დენვერთან" თამაში მოაგებინა.

მაგრამ ისე გამოვიდა, რომ „ფილადელფიას" უსისხლო „დენვერის" წასაქცევად არც აივერსონის პირობა დასჭირდა და არც მისი ქულები. აივერსონმა ბეჯითად ცოტა ჩააგდო, ვილრე გეგმავდა და ამჯერ ბევრი იყო „ნაგეტსისთვის". ზედელავის ფსიქოლოგიური პირველობის ტალაში განიცდიდა, როცა ორ 12-წუთიანში მხოლოდ 22 ქულა ჩააგდეს და წლეულს დამყარებული საკუთარი ანტირეკორდი გაიმეორეს. „22 ქულა ყველაფერზე მეტყველებს, ბოლომდით და, თითქოსდაც ვერ გარეებში ჩვენს გულშემატკივრებს, ოღონდ მაინც მინდა, ალბათ გაშლემაც მეტოქის დაცვის მიმართ" — ამბობს რაცა სასწაულით მხოლოდ 22 ქულით წაგებული მატჩის შემდეგ ბზელიკი.

აუცილებლად სათქმელია, რომ „დენვერი" უთუოდ მეტად შეიცვებოდა, მის ახალბედა ბრაზილიელ ფორვარდს ნენე ილარიოს ფსიქიკა არ გამოეჩინა და ორთვიან კარიერაში უმეტესი 23 ქულა არ გაეკეთებინა.

„დენვერის" დარად ბევრს, მაგრამ მისგან განსხვავებით მეტი ლირსებით აგებს მეორე ქართული გუნდი „მაიამი ჰითი". ამ ორშაბათს ვლადიმერ სტეფანია და მისიანებმა თითქმის მოუგეს ხალისიან და პერსპექტიულ „ჰიუსტონს". „მაიამი" ტენსაუპლდა შეხვედრის ბოლო მეოთხედის დასაწყისში 14 ქულით აგებდა, მაგრამ ამ დღეებში მეზობელ არამეტის ბეჟიდანიქ რუსუაშვილის ენერგიით მეტოქის უპირატესობა ჩამოაჭრა ჯონსმა მეოთხე 12-წუთიანში 17 ქულა გააკეთა და ბოლო წუთზე სამი ქულით დაეწია თანამებრძოლები, მაგრამ „მაიამის" იმ დღეს მოგება არ ეწერა. ჯონსის შემდეგ თავისი სიტყვა თქვა „ჰიუსტონის" ლიდერმა სტივ ფრენსისმა, რომელმაც ზედ სიგნალთან სარესტარ რთად 15 ათასი მაიამელი გულის გასახეთქად საბაზო ჩააგდო, ანგარიში 91:91 გაათანაბრა და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა, სადაც „ჰიუსტონმა" ბრძოლაში იმარჯვა.

ნამატ ფრენსისი ტრაბახობდა, მაგარი მხოლოდ ერთ. „როგორც კი ბურთი ხელებში მოვიგდე, მივხვდი, ჩავაგდებდი კიდეც" — ამბობდა ის, რომელიც მთლიანობაში არის კიდევ რიგიანი მსროლელია. ფრენსისმა ზუსტად ასეთივე სამქულიანი ჩააგდო ამ პარასკევს „მემფისთანაც" და ის შეხვედრაც გადაიყვანა ოვერტაიმში. ეგაა, მაშინ მისმა „ჰიუსტონმა" დაიმო ოვერტაიმში.

„მემფისზეც" ვიტყვი: საზოგადოებას როგორღაც გამოეპარა ამ გუნდის ბოლოდროინდელი წინსვლა. ჩანს, ელვის პრესლის ქალაქში ბუნაგდადებულმა „დათვებმა" იმდენად მიაჩვიეს ხალხი მარცხებს, რომ მეტოქეებმა დაკარგეს ამ გუნდის ფარული პოტენციის შეგრძნება სიფრთხილეც და აი, შედეგიც — „გრიზლიზმა" მიიღო ხელოვნები თით თამაში, შემდეგ აგერ „გოლდენ სტეიტსაც" გაკრა ბრჭყალი და როგორც იქნა, მოსცილდა წყეულ ბოლო ადგილს. სანტრანცისკოელებმა „დათვებს" წინ უძლიერეს ევროპიდან ჩამოსახლებულები, წინა სეზონის საუკეთესო ახალბედა პაუ გასოლი და ამ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ახალბედა გირიჩეკი.

მოგვ კიდევ ერთმა ქვედივიზიონელმა, „ნიკაგო ბულზსაც" და საკუთარ ლიდერებში ტრავმებით დაკლილ „ტორონტოს" გაასწრო. ამ ბოლო ხუთ სეზონში ჩაკავებულებზე პირველ არ იიქმის სიტყვა „ბენჩხალები". ლრო ყველაფრის მკურნალია და „ხარებსაც" თითქოს ეშველათ. ჩვენში დარჩეს და, დიდხანს კი ითვლებოდნენ ყველა ვიგინდარას მიერ.

**ირაკლი ფირცხელაური**


REUTERS

ჰიუსტონელთა უგრძეს იაო მინგს მიამელი რაშუალ ბატლერი არ შეეპუა

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ბოსტონი | 16 | 8 | 66,7 |
| ნიუ ჯერსი | 16 | 8 | 66,7 |
| ფილადელფია | 16 | 9 | 64,0 |
| ორლანდო | 13 | 13 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 10 | 13 | 43,5 |
| ნიუ იორკი | 7 | 14 | 33,3 |
| მაიამი | 6 | 18 | 25,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 18 | 5 | 78,3 |
| დეტროიტი | 16 | 7 | 69,6 |
| ნიუ ორლეანი | 17 | 8 | 68,0 |
| ატლანტა | 10 | 13 | 43,5 |
| მილუოკი | 10 | 13 | 43,5 |
| ჩიკაგო | 8 | 16 | 33,3 |
| ტორონტო | 7 | 16 | 30,4 |
| კლივლენდი | 5 | 21 | 19,2 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 20 | 3 | 87,0 |
| სან ანტონიო | 14 | 10 | 58,3 |
| ჰიუსტონი | 13 | 10 | 56,5 |
| მინესოტა | 13 | 11 | 54,2 |
| იუტა | 12 | 11 | 52,2 |
| მემფისი | 7 | 19 | 26,9 |
| დენვერი | 6 | 19 | 24,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 20 | 6 | 76,9 |
| ფინიქსი | 14 | 10 | 58,3 |
| სიეტლი | 14 | 11 | 56,0 |
| პორტლენდი | 11 | 11 | 50,0 |
| კლიპერსი | 11 | 14 | 44,0 |
| ლეიკერსი | 10 | 15 | 40,0 |
| გოლდენ სტეიტი | 8 | 16 | 33,3 |

# ვებერი ბებერმა თაღლითმა ჩაუშვა
## ამერიკაში ქრთამს ბავშვებს აძლევენ



კრის ვებერს ბავშვობაში ნაჭამი ფული შეიძლება ძვირად ამოადინონ

**„საკრამენტო კინგზის" სუპერთავდამსხმელ კრის ვებერს მომავალ ზაფხულს სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუწევს. ვებერს ბრალად ედება არალეგალურ ფინანსურ გარიგებებში მონაწილეობა, როცა ის ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, შემდეგ კი მიჩიგანის უნივერსიტეტის სტუდენტი და ამ სასწავლებლის საკალათბურთო გუნდის ლიდერი იყო**

მოკლედ რომ მოვჭრათ და სამართლებრივი ტერმინებით სავსე საბრალდებო ფურცელი ადამიანურ ენაზე გადმოვთარგმნოთ, აი, კრის ვებერმა რა დააშავა: ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას ვებერი და მისი ოჯახის წევრები რეგულარულად სესხულობდნენ ფულს ვინმე ედი მარტინისაგან, რომელიც მიჩიგანის უნივერსიტეტის გუნდის არარეგისტრირებული წარმომადგენელი იყო. ფულის სანაცვლოდ ვებერი პირობას იძლეოდა, რომ სწორედ მიჩიგანში ითამაშებდა. ამგვარად, მარტინისაგან მიცემული ფული იყო ერთგვარი სესხი, ან გასამრჯელო, ან უფრო მეტად ქრთამი, რასაც კატეგორიულად კრძალავს წმინდა სამოყვარულო საწყისებზე დაფუძნებული სტუდენტური ლიგა. ახლა ეს მარტინი სხვა საქმეებზეც ჩავარდა და არალეგალურ მაქინაციებში დამნაშავედ ცნობილმა აღიარა, რომ დაახლოებით 10-12 წლის წინ ვებერს, მის მამას მეის ვებერს და ბიცოლა შარლენ ჯონსონს ჯამში 280 000 „ასესხა". მარტინმა ისიც აღიარა, რომ 1994 წლის სტუდენტური ჩემპიონატის ჩემპიონმა მიჩიგანმა ამ გუნდის ოთხ წამყვან მოთამაშეს (მათ შორის ვებერს) სულ 611 000 „დაახარჯა". ვინ იცის, „ქრთამაღებულებში" იყვნენ ვებერის მაშინდელი თანაგუნდელები დღეს კი ნბა-ს ვარსკვლავები „დენვერის" ლიდერი ჯუონ ჰოვარდი და „ჩიკაგოს" ბომბარდირი ჯალენ როუზი.

მარტინის ჩვენებაზე ვებერი პასუხობს, რომ ამ კაცს ლიახაც გამოართვა ფული, თან ხაზს უსვამს, რომ მხოლოდ ჯიბის ფული გამოართვა სკოლაში სწავლისას, მაგრამ არ ახსოვს გამოართვა თუ არა მას რაიმე სტუდენტობისას.

სიმართლე ალბათ ზაფხულში გაირკვევა. ვებერის დამცველებმა მოახერხეს და პროცესი ივნისისთვის გადაიტანეს, რაკი ახლა კალათბურთელს გახურებული სეზონი აქვს და ადვოკატთა თქმით, „ქვეყანას მოთამაშე კრის ვებერი უფრო გამოადგებოდა, ვიდრე სასამართლოებში მორბენალი". პროცესის გადადების წინაამდეგი იყო სახელმწიფო პროკურორი რიჩარდ კონვერტინო. მას პროცესის დაუყოვნებლივ გამართვა მოუთხოვია და საქმის დაჩქარების მიზეზად მთავარი მოწმის, ედი მარტინის ასაკი დაუსახელებია. აი, პროკურორის კორექტული ნათქვამის თავისუფალი თარგმანი: „ეგ თაღლითი მარტინი 68 წლისაა, ვინ იცის, დღეს მოკვდება თუ ხვალ და საწყენი იქნება, თუ საქმე გაუხსნელი და სამართალი მშიერი დარჩება". პროკურორს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, სეზონის დამთავრებამდე ვებერი თავისუფალია.

**კოტე ყორშია**

## ევროპის ჩემპიონატი. ქალები
დანია 6-15 დეკემბერი




REUTERS ორმეჯიდან
კატრინ ფრიულანდმა (№ 15) ნორვეგიელებს ოთხჯერ გაუტანა

# რუსული ბოლომდე დანიას შეასკდა
# არგუმენტი №1: კარინი კარში

| |
|---|
| **ნახევარფინალი** |
| დანია 22:18 რუსეთი |
| ნორვეგია 21:16 საფრანგეთი |
| **მესამე ადგილისთვის** |
| საფრანგეთი 27:22 რუსეთი |
| **ფინალი** |
| დანია 25:22 ნორვეგია |

**დანია:** მორტენსენი, დაუგაარდი (გაიტანა 7 გოლი), იორგენსენი (5), ფრიულანდი (4), ტურაი (3), ვესტერგაარდი (2), ბროდსგაარდი (2), კ. ანდერსენი (1), დ. ანდერსენი (1), იოჰანსენი, იენსენი
**მწვრთნელი:** იან პიტლიკი

**ნორვეგია:** ტიუგური, კოპერუდი, ჰამერსენგი (7), ტუვენი (4), როზენბერგი (3), ლარსენი (3), საეტერნი (2), ლიბეკი (2), ჰილმო (1), ჰარსაკერი, ჰანდვინი, სანდვე, ნიბერგი
**მწვრთნელი:** მარიტ ბრეივიკი

ჩემპიონატის ამგვარ სენსაციურ ფინიშს ყველაზე იმედიანი მეპროგნოზეებიც ვერ ივარაუდებდნენ. ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი, მსოფლიოს ჩემპიონი რუსეთი სულაც უმედლოდ დარჩა, ხოლო მასპინძელმა დანიელებმა მაქსიმალურად გამოიყენეს საკუთარ მოედან-ქომაგთა ფაქტორი, ორ უმაღლესრეიტინგიან მეტოქეს სძლიეს და ექვსწლიანი ხელმოცარვის შემდეგ მესამედ მოიპოვეს კონტინენტზე უძლიერესის ტიტული. აღსანიშნავია, რომ შარშანწინდელ, რიგით მეოთხე ჩემპიონატში ისინი მხოლოდ მეათე ადგილზე იყვნენ.

რუსებმა დანიელებთან ნახევარფინალური შეხვედრა რიხიანად დაიწყეს, თავიდანვე საგრძნობ უპირატესობას მიაღწიეს და ტაიმიც სამბურთიანი სხვაობით მოიგეს — 11:8, მაგრამ თამაშის განახლებისთანავე ხუთწუთიან-ხუთბურთიანი ჩავარდნის შემდეგ თავად აღმოჩნდნენ მდევრის როლში — 13:14. თავისი გოგოების ჭკუაზე მოსაყვანად ჩემპიონთა მწვრთნელმა ევგენი ტრეფილოვმა წუთშესვენება გამოიყენა და მალე ანგარიშიც გათანაბრდა, მაგრამ ამას მეორე, ახლა უკვე ექვსგოლიანი „ნოკაუტი" მოჰყვა — 14:20 და ფინალისტის ვინაობაც გაირკვა. სლავთა თითქმის ყოველ ნასროლს ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე კარინ მორტენსენი ეღობებოდა კედლად. ნერვებაშლილმა ანა იგნატჩენკომ ერთ-ერთი შეტევისას მას პროვოკაციულად ბურთი სახეშიც კი მოარტყა, მაგრამ გმირ გოლკიპერს პოსტი მაინც არ მიუტოვებია.

უტიტულო ფრანგები ექსჩემპიონ ნორვეგიას თავიდან თანაბრად ებრძოდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში ძალა გამოელიათ. სამაგიეროდ, კვირას საბრინჯაო, საკმაოდ უსახურ მატჩში თავიანთი ბომბარდირის, სტეფანი კანოსა და იუგოსლაველ მსაჯთა დახმარებით რუსებს კატასტროფული მარცხი აგემეს და პირველად შეადგნენ ევროპოდიუმზე.

სკანდინავიურ ფინალს ორჰუსის სპორტის სასახლეში ხუთი ათასი მაყურებელი დაესწრო, მათ შორის საკმაოდ ბევრი ნორვეგიელიც. დასაწყისი თანაბარი იყო და მხოლოდ შესვენების წინ გამოიკვეთა დანიელთა ორბურთიანი უპირატესობა — 13:11. მეორე ნახევარში ნორვეგიელები გააქტიურდნენ და დაწინაურებაც მოახერხეს — 17:16, მაგრამ იქვე კატრინ ფრიულანდმა მორიგი ზუსტი ნატყორცნით გაუთანაბრა და ამის მერე მასპინძლებს თამაშის სადავეები ხელიდან აღარ გაუშვიათ. გადამწყვეტი აღმოჩნდა მათი უპასუხო, ხუთბურთიანი სერია. ამჯერადაც შეუდარებელი იყო მორტენსენი. მან დასკვნით თამაშშიც, ისევე როგორც წინა დღეს, ნახევარფინალში, ფანტასტიკური საიმედოობა აჩვენა — თავის კარისკენ ნასროლის 50 პროცენტზე მეტი მოიგერია. „მორტენთან" ერთად დაცვაც პრაქტიკულად უშეცდომოდ მოქმედებდა, შეტევებში კი ძირითადად სწრაფი გარღვევების შედეგად აღწევდნენ მიზანს. ერთი სიტყვით, დანიელებმა დამსახურებულად დაიბრუნეს უძლიერესის წოდება — ტურნირზე მათ რვავე შეხვედრა მოიგეს.

ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ მორტენსენი დაასახელეს. ეს ევროჩემპიონატებში პირველი შემთხვევაა, როცა ყველას მეკარემ აჯობა.

ცხადია, შედგა უძლიერესთა სიმბოლური შემადგენლობაც: კარინ მორტენსენი (დანია), ლინე დაუგაარდი (დანია), აუშრა ფრიდრიკასი (ავსტრია), კრისტინ ანდერსენი (დანია), ლუდმილა ბოდნიევა (რუსეთი), კაროლაინ როზენბერგი (ნორვეგია) და სტეფანი კანო (საფრანგეთი).

ბომბარდირთა დავაში 58 გოლით უნგრელი აგნეშ ფარკაში იყო პირველი. სამეულში შევიდნენ აგრეთვე ავსტრიელი აუშრა ფრიდრიკასი (54) და რუსი ირინა პოლტორაცკაია (53).

**გია ახალაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# წყალს გასდის პატარას დიდთან

**გასულ უიკენდზე** გერმანულ რიზას 25-მეტრიან მთავარ აუზში ჩამთავრდა უჩაუქს ევრომოცურავეთა პირველობა. მართალია, ტურნირზე ზღაპრული შედეგები არ აღნიშნულა და ერთადერთ მსოფლიო რეკორდსაც ხელები მხოლოდ კომპლექსურად მოესტაფეტე გერმანელმა კაცებმა გამოჰკრეს, მაგრამ ცურვის ტრფიალი იქ სანახავსაც უხვად მოიძევდა და საქომაგოსაც. ევროჩემპიონატის მთავარგმირებად ოთხი ოქროს მომპოვებელი გერმანელი ტომას რუპრატი და სამ-სამგზის მეოქროვე ქალები — გამოცდილი სლოვაკი მარტინა მორავცოვა და 17 წლის უნგრელი ევნდერგოგო ევა რისტოვი იქცნენ. გუნდურ ჩათვლაში პირველობა მასპინძლებმა არავის დაანებეს.

პარასკევს დღის უმთავრეს მოვლენად უნგრელი ევა რისტოვის მიერ ასტრიდ შტრაუსის 15-წლოვანი ევრორეკორდის დამხობა იქცა. 17 წლის უნიჭიერესმა მადიარგოგომ, ვინაც თავისი პირველი იქაური ოქრო წინა დღეს 200 მეტრზე ბატერფლაით დგაფინისას მოიმკა, თავისუფალი სტილით გასაცური 800 მეტრი უსწრაფესად — 8 წუთსა და 14,72 წამში დაფარა და სარეკორდო დროსაც 0,62 წამი დააკლო. ევას 700 მეტრამდე მხარდამხარ სდია შვეიცარიელმა ფლავია რიგამონტიმ, მაგრამ ბოლოსკენ მაინც ჩამორჩა და ოდენ პირადსარეკორდო 8:16,16-ს დასჯერდა. მესამე ადგილი გერმანელ ჰანა შტოკბაუერს ერგო (8:20,92).

საინტერესო სხვაც ბევრი მოხდა. მებაყაყურე ავსტრიელ მირნა ჯუკიჩს სა-200-მეტრო ოქრო ზაფხულში 50-მეტრიან ევროაუზშიც მოეხვეჭა და, რაკილა მოცილე არც ამჯერად გამოუჩნდა, 2:21,66-ით ისევ აპირველა. მის შემდეგ ფინიშთან გერმანელები — სარა პოევე (2:21,99) და ანე პოლესკა (2:23,51) მიჭყლაპუნდნენ.

უცნაურად გასრულდა თავისუფალი სტილით მოცურავე მდედრთა დავა 100 მეტრზე, სადაც დისტანციის ყველაზე მალე ამთვისებელმა სლოვაკმა მარტინა მორავცოვამა და ბელარუსმა ელენა პოპჩენკომ წამმზომები ერთსა და იმავე — 53,66-წამიან ნიშნულზე შეაჩერეს. ორგანიზატორებს ოქროს ორად „გატეხვა" მოუხდათ.

კაცთაგან გერმანელი ტომას რუპრატი გამოირჩა — მან ჯერ 100 მეტრზე ბატერფლაით იმარჯვა (50,77), 20 წუთის მერე კი ზურგზე 50-მეტრიან სპრინტშიც გაილაღა. შევახსენებთ, რომ ოქრო მან წინა დღესაც მოიპოვა, როცა თანაგუნდელებს 4X50-იანი კომპლექსური ესტაფეტისას მსოფლიო რეკორდის დამყარებაში დაეხმარა.

თავისი წილი ოქროს მითვლა ევა რისტოვამ შაბათსაც შეძლო — 400 მეტრზე თავისუფალი სტილით საუცხოოდ იმხარილეივა და ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, უკრაინელ იანა კლოჩკოვას ფინიშთან ლამის სამი წამით მოუსწრო. ევას შედეგი 4:01,95 წუთი, იანასი კი 4:04,50 გახლდათ. მესამე აქაც ჰანა შტოკბაუერი იყო 4:07,48-ით.

სხვაგრივ — არაჩვეულებრივი შედეგი აჩვენა 18 წლის 1500-მეტროსანმა რუსმა იური პრილუკოვმა, ვისაც აქა-იქ უკვე დიდი რუსი მორმცურავის, ვლადიმირ სალნიკოვის ოქროვანი საქმის გამგრძელებლად მიიჩნევენ. ამ დისტანციაზე გაევროჩემპიონება პრილუკოვმა წლეულს ბერლინურ „დიდ წყალშიც" მოახერხა, ხოლო მის მიერ შაბათს ნაჩვენები შედეგი — 14:35,06 — იტალიელი მასიმილიანო როსოლინოს მიერ ორი წლის წინ დამყარებულ ევრორეკორდს სულაც 1,87 წამით „უსწრებს"!

ასე სწრაფად ამ სიშორეზე 25-მეტრიან აუზებში ცურვა აქამდე მხოლოდ სამ ადამიანს: ავსტრალიელ ოლიმპიურ ჩემპიონებს — გრანტ ჰაკეტს და კირენ პერკინსსა და ამერიკელ ერიკ ვენდტს მოუხერხებიათ.

ჭაბუკი რუსის მომდევნო ადგილზე 17 წლის ბრიტანელი დევიდ დევისი გავიდა (14:42,51), იმისმომდევნოზე კი — იტალიელი კრისტიან მინოტი (14:51,43).

დანარჩენთაგან: მარტინა მორავცოვამ ზედიზედ მეხუთედ იმარჯვა 100-მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (1:00,21); გერმანელმა ანტიე ბუშშულტემ წინა დღეს ზურგულით 100 მეტრზე მოგებულ ოქროს ზურგულითვე 50 მეტრზე მოგებულიც დაურთო (27,62); უკრაინელმა ოლეგ ლისოგორმა კი გერმანელ მარკ ვარნეკეს ბრასით 50 მეტრზე უჯობა (26,94) და ზედიზედ მეორედ შეძლო, 50-100 მეტრიანი ბრასული გაეკეთებინა.

კვირას დაუდეგარი ევა რისტოვი უმაღლეს დონეზე დაწყებულ საქმეს ასეთსავე დონეზე დამთავრებას უპირებდა, მაგრამ ვერ მოერია! 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში იანა კლოჩკოვამ მას წინა დღეს ნაწყენევი მარცხის სამაგიეროც უზღა და საამტერნირო ოქრონადავლიც გაიორა. პირველი ოქრო მან ხუთშაბათს, ასევე კომპლექსური, ოღონდ 200 მეტრზე ცურვისას მოიპოვა.

ოთხივე სახეობით 400 მეტრის დაფარვას კლოჩკოვამ 4 წუთი და 29,81 წამი მოანდომა. 17 წლის ევა მას სამ წამზე მეტით ჩამორჩა და ოდენ 4:33,09 აჩვენა. ბრინჯაო სლოვენ ალენკა კეიზარს ხვდა წილად (4:33,80).

100 მეტრზე ბატერფლაით სხვებზე (ზედიზედ მესამედ) უკეთ იდგაფუნა (56,82) და მესამე რიგული ოქრო იგუნა სლოვაკმა მარტინა მორავცოვამ. ეს ძალზედ შუშპარა და ნაყოფიერი მოცურავე მოკლე აუზებში 1996 წლიდან გამოდის და ამ ხნის განმავლობაში უკვე 15 უმაღლესი სინჯის მედალი დაუგროვდა.

მორავცოვას დარად მესამედვე შედგა ინდივიდუალური კარცხლბკის უმაღლეს საფეხურზე გერმანელი ტომას რუპრატიც, ვინაც კვირას 100 მეტრზე საოქროდ იზურგულა (51,51). უფიცხლეს დავაში მან თვისტომ სტივ თელოკეს (51,71) აჯობა.

ხუთშაბათს 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ნაალაფევ ოქროს კვირას 200 მეტრზე თავისუფალითვე მოხვეჭილი ოქრო დაურთო და იტალიას გუნდური მეორე ადგილი მოუტანა ემილიანო ბრემბილამ.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძლებმა დაიკავეს.

**ლევან ძილაურაძე**



REUTERS ორმეჯიდან
პატარა წყალში ტომას რუპრატმა ბლომად ოქრო მოინაგრა



REUTERS ორმეჯიდან
სამი ოქროს პატრონი მარტინა მორავცოვა წყლის ნისლით

| ქვეყანათა მონაგარი | | | |
|---|---|---|---|
| გერმანია | 7 | 7 | 8 |
| იტალია | 5 | 2 | 2 |
| შვედეთი | 5 | 2 | 2 |
| უკრაინა | 4 | 2 | 3 |
| ბრიტანეთი | 3 | 4 | 1 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 3 |
| სლოვაკეთი | 3 | — | — |
| ფინეთი | 2 | 3 | 1 |
| ბელარუსი | 2 | 2 | 1 |
| ავსტრია | 1 | 2 | — |
| რუსეთი | 1 | 1 | 3 |
| სლოვენია | 1 | 1 | 3 |
| ჰოლანდია | 1 | — | 2 |
| ისლანდია | 1 | — | 1 |
| ჩეხეთი | — | 3 | — |
| დანია | — | 2 | 1 |
| საფრანგეთი | — | 2 | — |
| ხორვატია | — | 1 | 1 |
| შვეიცარია | — | 1 | — |
| ლიტვა | — | — | 2 |
| საბერძნეთი | — | — | 1 |
| ისრაელი | — | — | 1 |
| რუმინეთი | — | — | 1 |
| ესპანეთი | — | — | 1 |

# საზამთროც გავსინჯოთ



ივიცა კოსტელიჩი

### სამთო თხილამურობა
## აქაც ნოკაუტი

მემსოფლიოთასე სამთომოთხილამურენი ამ დღეებში ორგან სრიალებდნენ — ფრანგულ ვალდიზერსა და იტალიურ სესტრიერეში. რაკილა პირველ ალაგას სრიალი უფრო ადრე გასრულდა, ამ მიმოხილვასაც იქ მომხდარი ამბებით დავიწყებთ.

მსოფლიო თასის შარშანდელმა ჩემპიონმა, 33 წლის ავსტრიელმა შტეფან ებერჰარტერმა ვალდიზერულ სწრაფდაშვებაში პირველობა არავის დაუთმო და სეზონის უკვე მეხუთე გამარჯვება მიითვალა. მისმომდევნო ადგილები კვარცხლბეკზე ავსტრიელებმავე — კლაუს კრიოლმა და ანდრეას შიფერერმა დაიკავეს.

მომდევნო დღეს ებერჰარტერი იქ გიგანტურ სლალომში გაპირველებასაც გეგმავდა, მაგრამ ერთ-ერთ მოსახვევში ვაგლახად მოსრიალებული რბოლასაც გამოეთიშა და მუხლიც დაიშავა. ბედად, ტრავმა არც ისე მძიმე გამოდგა და ჩემპიონი მხოლოდ რამდენიმე კვირით იუქმებს.

მისი გამოთიშვა კი იმ დღეს ყველაზე მეტად მისკბილა მსოფლიო ჩემპიონს, შვეიცარიელ მიხაელ ფონ გრიონიგენს წაადგა. გრონიგენმა საუცხოოდ ისრიალა და გარდა იმისა, რომ კარიერის 22-ე სამსოფლიოთასო ეტაპი მოიგო, პირველი კაციც გახდა, ვისაც ოდესმე ვალდიზერულ სასრიალეთში ოთხჯერ გამარჯვება მოჰხერხებია. მეორე ადგილი ამერიკელ ბოდი მილერს ერგო, მესამეზე კი ავსტრიელი კრისტოფ გრუბერი დადგა.

შევახსენებთ, რომ კაცებმა სწრაფდაშვებასა და გიგანტურ სლალომში წლეულს უკვე სამ-სამი ეტაპი მოითავეს. პირველ დისციპლინაში სამივეჯერ ებერჰარტერმა იმარჯვა, მეორეში კი გრონიგენი მას უკვე 2:1 უგებს. საერთო ჩათვლაში ავსტრიელს 548 ქულა აქვს და ვერც გრონიგენი და ვერც სხვა ვინმე მას ჯერ საწრიაპეზეც ვერ ეკარება.

სხვაგრივ — ქალთა ვალდიზერულ სუპერგიგანტში ფინიშის ხაზი სხვათა უმალეს 29 წლის ფრანგმა კაროლ მონტიემ, სწრაფდაშვებაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა გადაკვეთა. მან 0,23 წამით აჯობა სოლტლეიკურ სუპერგიგანტში გამარჯვებულ იტალიელ დანიელა ჩეკარელის. კვარცხლბეკის უმდაბლეს ადგილზე მსოფლიო თასის შარშანდელი ჩემპიონი, ავსტრიელი მიქაელა დორფმაისტერი შესკუპდა.

ამ გამარჯვებამ მონტიე 178 ქულით საამდისციპლინო ჩათვლის სათავეში მოაქცია. მას ორი ქულით ჩამორჩება იტალიელი კარენ პუცერი, ვინაც ერთი დღით ადრე იქაურსავე გიგანტურ სლალომზე გაილაღა.

საფრანგეთიდან მთოსნებმა იტალიურ სესტრიერეში გადაინაცვლეს. იქაური ფანობა, ისევე როგორც ტელეეკრანთან დადარაჯებული მილეთიც ახალი რამ ხილის — „ნოკაუტ სლალომის“ მხილველი შეიქნა.

„ნოკაუტ სლალომი“ 4-ეტაპოვანია. საპირველეტაპო შედეგების მიხედვით შეჯიბრის გაგრძელების უფლებას მხოლოდ 30 უსწრაფესი იხვეჭს, დანარჩენები კი ტრასის მიღმა რჩებიან. საუკეთესო შედეგის მქონე მეორე ეტაპზე 30-ეს ერკინება, მეორე შედეგის მქონე — 29-ეს და ასე შემდეგ. გამარჯვებულ 15-ს დამარცხებული თხუთმეტეულიდან სამი უსწრაფესი ემატება და ამგვარად დაჯამებულ 18 მთოსანს მესამე ეტაპზე ისევ წყვილ-წყვილად რკინა მოუწევს. ამ რკინათა შედეგად დარჩენილ 9 მოსრიალეს შორის გამარჯვებული კი ტრადიციულად უნდა გამოვლინდეს — პირველობა მას რჩება, ვინც ტრასას უსწრაფესად დაფარავს.

ოთხივე ეტაპის ყველაზე ჩაუქად გავლა სესტრიერეში ხორვატ ივიცა კოსტელიჩსა და შვედ ანია პერსონს გამოუვიდათ. კოსტელიჩს — მისი პირველოსანი დის, იანიცასგან განსხვავებით — წლეულს ულიმღამო სეზონი აქვს და თავი აქამდე არაფრით გამოუჩენია.

„ნოკაუტის“ პირველი ეტაპი მან მეცხრე ადგილზე გაასრულა, მერე იტალიელ პოლ შმიდსა და ავსტრიელ ჰერბსტს აჯობა და საფინალო „ცხრეულშიც“ გაძვრა. იქ კი — არავინ რომ არ ელოდა — გასავლელი 34,32 წამში გაიარა და მაჰპინძელთა ფალავან ჯორჯო როკას წამის მეასედი მოუგო. მესამე საფეხური ნორვეგიელმა ტრულს ოვე კარლსენმა ირგუნა.

რაც შეეხება ქალთა „ნოკაუტს“ — პერსონს აქ შარშანაც ემარჯვა, ასპენში წინა საამსეზონო სლალომზეც უსწრაფესი გახლდათ და ვინმე არც ამჯერად გაიკარა. კვარცხლბეკზე მას ფინელი ტანია პუტიაინენი და ავსტრიელი ნიკოლ ჰოსპი მიჰყვნენ. იანიცა კოსტელიჩი ჰოსპს მხოლოდ წამის მეასედით ჩამორჩა და კვლავ სამეულის მიღმა დარჩა, თუმცა საერთო ჩათვლაში მისი პირველობა გასაჩივრებას ჯერაც არ ექვემდებარება.

### ჩრდილოური ორჭიდი
## ჰარაჩოვული მოტივები

მსოფლიო თასის ჰარაჩოვული (ჩეხეთი) ეტაპი ფინელთა ზეობით აღინიშნა — პირველ-მეორე ადგილები, შესაბამისად, ჰანუ მანინენმა და სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა სამპა ლაიუნენმა დაიკავეს. ტრამპლინიდან ხტომის შემდეგ პირველ ადგილზე მდგომი ლაიუნენი მეხუთეზე გასულ თვისტომს 15,3 წამს უგებდა, მაგრამ 7,5-კილომეტრიანი რბოლისას უფრო ჯაბნად გაირჯა და 0,6 წამით დათმო. მესამეზე გერმანელი რონი აკერმანი გავიდა, ვინაც გამარჯვებულს 4,8 წამით ჩამორჩა.

### ტრამპლინიდან ხტომა
## მალიში მთლად დაჩიავდა

მეტრამპლინეთა მორიგი ეტაპი, რომელიც გერმანულ ტიტიზეე-ნოიშტადტში გაიმართა, ავსტრიელი მარტინ ჰოლვარტის გამარჯვებით დასრულდა. ეს მისი მეორე საამსეზონო და მეხუთე საკარიერო გამარჯვება იყო. მეორე ადგილი ნორვეგიელმა სიგურდ პეტერსენმა დაიკავა, მესამე — მსოფლიო თასის შარშანდელმა პირველოსანმა ადამ მალიშმა, რომლის ვაინაჩრობაც, სხვათა შორის, ამ სეზონის ერთ უდიდეს იმედგაცრუებად ითვლება.

### ბიათლონი
## ესროლე-გაიქეცი

შვედურ ოსტერსუნდში 10-კილომეტრიან ტრასაზე მოდავე ბიათლონისტთაგან ყველაზე ჩუბინები და ყველაზე სწრაფები ნორვეგიელნი — 4-გზის ოლიმპიური ჩემპიონი ოლე ეინარ ბიორნდალენი და ფროდე ანდრესენი გამოდგნენ. დიდმა ჩემპიონმა თვისტომს 28,4 წამით მოუსწრო, მესამეადგილოსან უკრაინელ ანდრეი დერიზემლიას კი - 29,1-ით. მსოფლიო თასის შარშანდელმა გამარჯვებულმა ფრანგმა რაფაელ პუარემ რბოლა მეოთხემ დაამთავრა, თუმცა საერთო ჩათვლაში ის კვლავ პირველია — მას 132 ქულა აქვს, ბიორნდალენს — 128, ანდრესენს — 106.

### ბარის თხილამურობა
## კლასიკა ნორვეგიელებისაა

იტალიურ კონიეში გამართულ „კლასიკის“ სპრინტერთა რბოლებში ნორვეგიელებმა პირველობა ვინმეს არც ამჯერად დაუთმეს — კაცთაგან ტორე არნე ჰეტლანდმა იმარჯვა, ქალთაგან ბენტე სკარიმ. ამ გამარჯვებებმა ორივე საერთო ჩათვლათა სათავეებში მოაქცია.

1,5-კილომეტრიან ბილიკს ჰეტლანდმა ფინელ ლაური პიკონენზე 1,2 წამით, ხოლო ნორვეგიელ იენს არნე სვარტედალზე 3,5-ით ნაკლები მოანდომა. სკარიმ თვისტომები — მარიტ ბიორგენი (3,9 წამით) და ჰილდე პედერსენი (8,2) ჩამოიტოვა. ეს სკარის 32-ე საკარიერო ნადავლი გახლდათ.

**ლადო გუდაური**



მარტინ ჰოლვარტი



## რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ატლანტელთა მეკარე პასი ნურმინენს ტომ ფიცჯერალდმაც ტყულად შეუტია და სხვა ტორონტოელებმაც

# რეინჯერსის ევრიკა მეკარე საჭირო ყოფილა

— 16 დეკემბერი —

**რეინჯერსი 2:1 სან ხოსე 0:1 1:0 0:0 1:0**
**0:1 მარლო (5), 1:1 ბარნაბი (39), 2:1 ნედვედი (63)**

რეინჯერსის გენერალური მენეჯერი გლენ საზერი „სარბიელს“ რომ არ კითხულობს და ჩვენი შენიშვნები და სურვილები მის თვალსა და ყურს ვერ მისწვდება, ეს გასაგებია, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, ვარაუდმა რომ გაგვიმართლა. ახლახან ვწერდით, ტრავმირებული მაიკ რიხტერის ღირსეული შემცვლელი არ ჰყავთ და ჭაბუკი მეკარის ანაბარა დარჩენილი გუნდი შორს ვერ წავაო და... ისე აგიხდეთ ყველაფერი — რეინჯერსმა როგორც იქნა, გადაწყვიტა ძლიერი მეკარის შეძენა, მით უმეტეს, რომ რიხტერი სეზონის ბოლომდე ვეღარ დაუბრუნდება. მისი არჩევანი ექსნეშვილელ მაიკ დანემზე შეჩერდა. დებიუტი უკვე შედგა და ერთობ იღბლიანიც. ახალი მეკარე საიმედოდ იდგა კარში, 26 დარტყმიდან მხოლოდ ერთი ვერ მოიგერია, რეინჯერსმა კი მოიგო, ხუთი მარცხის შემდეგ პირველად.

**ატლანტა 1:0 ტორონტო 0:0 0:0 1:0**
**1:0 ტიმერი (57)**

ბაირონ დაფოს შეძენის შემდეგ ატლანტას უნდა აერჩია, ვინ იქნებოდა მისი დუბლიორი ძირითადში — პასი ნურმინენი თუ მილან ჰნილიჩკა. საბედნიერო პირველისკენ გადაიხარა. ნურმინენმა მწვრთნელთა ნდობა გაამართლა, ამ თამაშში 30 მოგერიებით გუნდის გამარჯვება უზრუნველყო.

**კოლორადო 2:2 ვაშინგტონი**
**1:0 1:2 0:0 0:0**
**1:0 რაინპრეხტი (11), 1:1 ჰელმერნი (24), 1:2 იაგრი (31), 2:2 შეიდუკი (36)**

კოლორადომ ზედიზედ მეორე მატჩი ჩაატარა ტრავმირებული ლიდერების, ჯო საკიკისა და პეტერ ფორსბერგის გარეშე.

**სამველ ლარიბიანი**

## კვირის მოთამაშე

### ჟან სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი)



ახალი წესების შემოღების შემდეგ წლეულს შედეგიანობამ იმატა. ამიტომაც დღესდღეობით შატაუტი მოვლენაა. მით უმეტეს, თუ ამას მეკარე ზედიზედ ახერხებს. ეს უკვე კვირის ლაურეატობის ტოლფასია. ასე გახდა ლაურეატი ტორონტოელი ედ ბელფორი, ამჯერად კი ეს პატივი ანაჰაიმელ ჟან სებასტიან ჟიგერს ერგო. მან წინა კვირის ბოლო მატჩშიც კარი ხელშეუხებლად შეინახა მერე ოთხშაბათს ვაშინგტონთან და კვირას პიტსბურგთან შესრულებული შატაუტების შემდეგ „მშრალი“ სერია 200 წუთამდე გაზარდა. ეს ამ სეზონის საუკეთესო შედეგია. ჟიგერს ბოლოს, 6 დეკემბერს ჩიკაგოელმა ალექსეი ჟამნოვმა გაუტანა. რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

**საუკეთესო ექვსეული (9-15 დეკემბერი)**

*ჟან სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი, 1); დენ ბოილი (ტამპა, 2) — მეტიუ შნაიდერი (ლოს ანჯელესი, 1); ზიგმუნდ პალფი (ლოს ანჯელესი, 1) — მარიო ლემიე (პიტსბურგი, 4) — მარკუს ნესლუნდი (ვანკუვერი, 1)*

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | | |
| ფილადელფია | 29 | 15 | 6 | 1 | 7 | 71:62 | 37 |
| ნიუ ჯერსი | 28 | 16 | 1 | 3 | 8 | 70:60 | 36 |
| რეინჯერსი | 34 | 13 | 4 | 1 | 16 | 86:109 | 31 |
| პიტსბურგი | 30 | 11 | 3 | 4 | 12 | 86:94 | 29 |
| აილენდერსი | 30 | 11 | 4 | 0 | 15 | 82:97 | 26 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 30 | 19 | 3 | 1 | 7 | 99:72 | 42 |
| ოტავა | 29 | 17 | 4 | 0 | 8 | 89:67 | 38 |
| მონრეალი | 31 | 14 | 4 | 2 | 11 | 88:98 | 34 |
| ტორონტო | 31 | 15 | 2 | 0 | 14 | 88:77 | 32 |
| ბუფალო | 29 | 7 | 5 | 1 | 16 | 63:78 | 20 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტამპა | 31 | 15 | 3 | 3 | 10 | 96:88 | 36 |
| კაროლინა | 32 | 13 | 4 | 3 | 12 | 76:82 | 33 |
| ვაშინგტონი | 32 | 13 | 3 | 0 | 16 | 83:96 | 29 |
| ფლორიდა | 30 | 9 | 7 | 4 | 10 | 74:93 | 29 |
| ატლანტა | 30 | 8 | 1 | 3 | 18 | 78:113 | 20 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| დეტროიტი | 30 | 17 | 4 | 1 | 8 | 96:76 | 39 |
| სენტ ლუისი | 30 | 16 | 4 | 2 | 8 | 98:73 | 38 |
| ჩიკაგო | 31 | 14 | 4 | 0 | 13 | 70:73 | 32 |
| კოლუმბუსი | 30 | 11 | 3 | 2 | 14 | 90:94 | 27 |
| ნეშვილი | 30 | 7 | 5 | 4 | 14 | 62:82 | 23 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| ვანკუვერი | 31 | 18 | 5 | 0 | 8 | 95:75 | 41 |
| მინესოტა | 32 | 17 | 6 | 1 | 8 | 84:69 | 41 |
| ედმონტონი | 31 | 16 | 4 | 1 | 10 | 85:75 | 37 |
| კოლორადო | 31 | 10 | 9 | 4 | 8 | 82:80 | 33 |
| კალგარი | 31 | 8 | 5 | 3 | 15 | 64:91 | 24 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 32 | 18 | 6 | 1 | 7 | 102:64 | 43 |
| ანაჰაიმი | 31 | 13 | 6 | 3 | 9 | 77:74 | 35 |
| ლოს ანჯელესი | 30 | 13 | 4 | 3 | 10 | 80:75 | 33 |
| სან ხოსე | 30 | 12 | 2 | 3 | 13 | 83:89 | 29 |
| ფინიქსი | 32 | 10 | 5 | 2 | 15 | 79:100 | 27 |

**ბომბარდირები:** ლემიე (პიტსბურგი) 55 (16+39), ტორნტონი (ბოსტონი) 41 (16+25), კოვალიოვი (პიტსბურგი) 39 (17+22), ნესლუნდი (ვანკუვერი) 38 (21+17), ბერტუცი (ვანკუვერი) 35 (15+20), მოდანო (დალასი) 34 (12+22), კესელსი (კოლუმბუსი) 33 (8+25), ჰოსა (ოტავა) 32 (19+13), საკიკი (კოლორადო), სან ლუი (ტამპა), მიურეი (ბოსტონი) და იოკინენი (ფლორიდა) 32 (17+15), მოგილნი (ტორონტო) 32 (12+20), უაიტნი (კოლუმბუსი) 32 (11+21)



# ქალაქი შენს ფერხთით

ასეთი მოხდენილი კუთხით გადაუღებენ ხოლმე ფოტორეპორტიორები ტრამპლინიდან მხტომელებს. ჰოშიფორსტის მთაზე ასოცმეტრიანი ტრამპლინის შეჯიბრი გახურებულა, ფასი კი მსოფლიოთ თასია. კოხტად გადაშლილი ქალაქი კი ტიტისე — ნოეშტადტი გახლავთ.

# კომენტატორი

მსოფლიოს ნამდვილმა მძიმეწონოსანმა ჩემპიონმა ლენოქს ლუისმა, რა თქმა უნდა, დიდი საქმის ცოდნით გადასცა საკრივო რეპორტაჟი ატლანტიკ სიტიდან. ლუისი კომენტატორად იყო მიწვეული ფედერაციის (იბფ) საჩემპიონო მატჩზე, რომელშიაც კრის ბერდმა ევანდერ ჰოლიფილდი დაამარცხა. სხვათა შორის, ეს ტიტული თავად ლუისმა დაუთმო ამ ორს საპაექროდ.



# მატჩზე

მაიამიში, იქაური „პითისა" და „ჰიუსტონ როკიტსის" საკალათბურთო მატჩზე ერთად მისულან ჩოგბურთელი ენდი როდიკი და მომღერალი მენდი მური. ახლო ხალხია ერთმანეთისთვის და ნულარ დავწვრილმანდებით.



# ცხადია, შუმი

მონაკოში საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ტრადიციული გალა გაიმართა და ცხადია, სეზონის მთავარი ჯილდო ფერარელმა მიხაელ შუმახერმა მიიღო, რომელიც მართლაც რომ ჩინებული საცქერი იყო სმოკინგში და დიდი არგენტინელი მრბოლის, ხუან მანუელ ფანხიოს სურათის ფონზე.






# წყალი გადმოსხმოდეს

თეთრ ხალათებში გამოხვეული უნგრელი გოგონები წყალბურთში მსოფლიოს ჩემპიონობას ტრადიციულად ზეიმობენ, მწვრთნელ ტომას ფარაგოს აუზში აგდებენ, რათა მანაც შეიგრძნოს საჩემპიონო წყლის სისველე. ავსტრალიის ქალაქ პერტში უნგრელმა გოგონებმა &7 მოუგეს ფინალში გასულ ამერიკელებს და ოქროს მედლები მიიღეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge